რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 12 სექტემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერის ფული [illegible] უნდა გამოიგზავნოს: ტფილისი, [illegible] ящ. 199. Редакція «Эртоба». [illegible] რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 144 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 144

კვირას, 10 ენკენისთვეს ქ. ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის ძვირფასი

**ევა გაბრიელის ასული კაკაბაძისა**

რასაც ღრმისი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს: შვილი ნატალია მოსეს ასული და სიძე ნოე ეგნატეს ძე ლეჟავები, შვილის-შვილები: ნადეჟდა, ნინა, მარიამი, შალვა ნოეს ძე ლეჟავები და თამარა მიხეილის ასული მთვარელიძე. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათზე, კრასნოგორის ქუჩა, საკუთარ სახლში № 28. სასუფლავე გასვენება დანიშნულია სამშაბათს, 12 ენკენისთვეს, დილით ცხრა საათზე კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე და წირვის შემდეგ დაკრძალულ იქნება კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზედვე. 1—1

გულ დათუთქულნი: მეუღლე ტერეზი გიორგის ასული, შვილები: გუნია კოპლატაძისა, სოსია და სიმონ ფილიპოვიჩისა, გოია (შუშანა), აპოლინე, იკაბი, ნიკო, იოსები და ვასო ხაფთასები, რძლები: ლიდა ბიქტორის ასული და ელისო ნანიკოს ასული ხაფთასებისა, შვილის-შვილები: ლიუბა, ნადეჟდა, სევერიანი და ვალენტინა უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. ტფილისში, 10 ენკენისთვეს

**მიხო ნიკოლოზის ძე ხაფთასი**

რომლის გამოსვენება მოხდება 14 ენკენისთვეს დილით ხუთშაბათს, დილით 9 ს. და დაკრძალული იქნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის გადახდის შემდეგ დილისით 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათ. ნაძალადევი, ხარკოვის ქუჩა № 21. 3—1

უსაზღვრო მწუხარებით მოცულნი ქსენია ნიკოლოზის ასული და გრიგოლი (გრიშა) ივანეს ძე ჩოჩია აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ პეტროგრადში უდროვოთ მოულოდნელად გარდაიცვალა მათი ნორჩი და საყვარელი შვილი

**იური ჩოჩია**

დაკრძალვა უკვე მოხდა პეტროგრადში.

სამშაბათს, 12 სექტემბერს, საღამოს 8 ს.
პირველ ქალთა გიმნაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა)
მეოთხე რაიონული კოლექტივი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა, იწვევს

**რაიონულ პარტიულ კრებას**

ამხ. მ. ჯუღელი გააკეთებს მოხსენებას **ნაციონალიზმი**[?] **საკითხის** შესახებ.
გადასაწყვეტი აგრეთვე მრავალი საორგანიზაციო კითხვები.
ამხანაგებს ხთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ და ნურც დაიგვიანებენ.
2—2 მეოთხე რაიონის კოლექტივი.

**ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის**

ჭრა-კერვის სკოლაში მეცადინეობა უკვე დაიწყო.

ასწავლიან ჭრა-კერვას და ქარგვას. სწავლა უფასოა. მოწაფეების მიღება გრძელდება სკოლის და სახელოსნოს ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილნი მასწავლებლები. მიიღება ყოველგვარი სამუშაო საკერავ საქარგი. აქვე იღებენ მანქანის მერეშკებს. ვერის დაღმართი სახლი № 3 ბინა № 9 ეზოში. 3—3

**პური**

იმ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც თავიანთ საჭიროებისათვის თითონ აცხობენ პურს.

იმ მიზნით, რომ უფრო დაწვრილებით გამოირკვეს მეფურნეებზე მისაცემ ფქვილის რაოდენობა, აგრეთვე რაოდენობა ქალაქში დასახარჯ პურისა, ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა დაწესებულებებს, როგორიც მაგ. საინტენდანტოს, საავადმყოფოებს, საზოგადო სასადილოების[?] ადგილებს, წითელ ჯვარს, ქალაქთა და ერობათა კავშირებს და სხვ., რომლებიც აცხობენ პურს კერძო საცხობებში თავიანთ საჭიროებისათვის, აცნობონ საჩქაროთ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში ცნობები, თუ რომელ ფურნეში ცხვება მათთვის პური და რამდენი ფუთი ფქვილი გძლევა ფურნეს დღეში პურის გამოსაცხობათ.
5—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

**ქ. ლანჩხუთში**
გაიხსნა მთავრობის სრულ-უფლებიანი
**ვაჟების გიმნაზია**
ახალი ტიპის (5 კლასიანი), სადაც მიიღებენ უმაღლეს-დაწყებით სასწავ. კურს დამთავრებულს. ვისაც ასეთი მოწმობა არ ექნება, იმათ მიიღებენ შესაფერ გამოცდის შემდეგ. თხოვნები მიიღება 20 სექტემბრამდე. 3—1

**დავკარგე**
სადღაც ტფილისში, ორ სექტემბერს 350 მ. მასთან პასპორტი მოცემული ბათომის პოლიცმეისტრისაგან 1908 წ. 20 თებერვლის რიცხვში, მასთან კიდევ ბათომის სოც.-დემ. ორგან. მოცემული საწევრო ბარათი, ვექსილები, სხვა და სხვა თამასუქები, ნასყიდობები.
ვინც იპოვნოს გამომიგზავნოს მხოლოდ ვექსილები და პასპორტი, ფული დაიტოვოს თავისთვის. ჩემი მისამართი: Петроградская ул. Д. № 5. Калистрату Арсеновичу Саникидзе.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ქ. ქუთაისში.
**ექიმი გ. ი. ჩხენკელი**
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდის —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

**ექიმი ივანე თიკანაძე**
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქუთაისში
ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლში.

## დემოკრატიული თათბირის გამო.

დღეს, 12 სექტემბერს, რუსეთის დედა ქალაქ პეტროგრადში დემოკრატიული თათბირი გაიხსნება. თათბირს დაესწრებიან სრულიათ რუსეთის დემოკრატიული ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წარმომადგენლები და ამათ უნდა მოახდინონ რუსეთის რესპუბლიკის ცენტრალური მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია.

დღეიდან იწყება ის დიდი მუშაობა, რომლის მეოხებითაც რუსეთის მთელი დემოკრატია, ფართო მასსის რწმუნებულები, პოლიტიკურ კრიზისს, საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას, განსაზღვრულ ფორმას მისცემენ, არსებულ კრიზისს თავიდან აიცდენენ და მით რევოლიუციას უზრუნველყოფენ.

რევოლიუციის ექვსი თვის განმავლობაში რევოლიუციონერმა მთავრობამ რამდენიმე კრიზისი განიცადა. აპრილის რიცხვებიდან მოყოლებული პოლიტიკურ, ანუ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში, კრიზისი კრიზისს მოსდევს და იგი ქრონიულ მოვლენათ გადაიქცა. ასეთია რევოლიუციის კანონი, მისი ნგრევა-შენების პროცესი. რევოლიუციამ არ იცის მუდმივი შეურყეველი ძალთა-განწყობილება, შეურყეველი საზოგადოებრივი და მმართველობითი ძალა. აქ ყველაფერი სწრაფათ ინგრევა და შენდება, სწრაფათ იცვლება და სხვაფერდება. ყველა ასეთი პოლიტიკური და მმართველობითი მდგომარეობა საერთო ძალთა-განწყობილების გამომხატველია და უკანასკნელი კი, კლასებთა შორის დამოკიდებულების შედეგია, კლასთა ბრძოლის ნაყოფია.

პოლიტიკური კრიზისი ბოლოს მოეღება და სახელმწიფოებრივი რევოლიუციონური ძალა მკვიდრ ნიადაგზე მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ეს ძალა ფართო რევოლიუციონურ დემოკრატიაზეა დაყრდნობილი და უკანასკნელი უმაგრებს მას ძირს. ფართო დემოკრატია ის ძალაა, რომელიც რევოლიუციონურ პროლეტარიატის გარშემო ტრიალებს და მის სამართლიან პოლიტიკურსა და ეკონომიურ მოთხოვნილებებს მხარს უჭერს.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება მიზნათ დავისახოთ დემოკრატიის ავანგარდის, ანუ პროლეტარიატის წმინდა კლასობრივი მოთხოვნილებების სისრულეში მოყვანა. მაშინ პროლეტარიატი გამოცალკევებული დარჩება და რევოლიუცია საფრთხეში ჩავარდება.

მაშასადამე, რევოლიუციის ავანგარდმა მიზნათ პროლეტარიატის დიქტატურა კი არა, არამედ ფართო დემოკრატიის მართვა გამგეობა უნდა დაისახოს, და ასეთი მიზნის მეოხებით შეუძლიან რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცება და დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელება.

აი ის მთავარი პრობლემა, რომელიც პეტროგრადის დემოკრატიულმა თათბირმა უნდა გადასწყვიტოს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მომხდარი რევოლიუციის განმტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატი მთელ დემოკრატიას ორგანიზაციულათ და პოლიტიკურათ შეაკავშირებს და მათ ეკონომიურ და საზოგადოებრივ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ბურჟუაზიული რევოლიუციის ხანაში პროლეტარიატმა, ამბობს მარქსი და ენგელსი, ფართო დემოკრატიას ანგარიში უნდა გაუწიოს, მის სურვილებს ყურადღება უნდა მიაქციოს და ამ სურვილების გარშემო მცხოვრებთა დიდი ნაწილი დარაზმოს და ამ გზით განახორციელოს თავისი პროგრამა მინიმუმი, დაამყაროს დემოკრატიული რესპუბლიკა.

დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება კი წინასწარვე მოითხოვს ფართო რევოლიუციონურ დემოკრატიის ძალთა შეკავშირებას და დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ძალის დამყარებას.

სწორეთ პეტროგრადის დემოკრატიულმა თათბირმა უნდა შექმნას დემოკრატიული მართველობა და უკუ აგდოს ცენზიან ბურჟუაზიასთან და მსხვილ მემამულეებთან კოალიცია. დასახელებულმა თათბირმა ფართო დემოკრატიიდან კოალიციონური მთავრობა უნდა შეადგინოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს დემოკრატიული დეკრეტების გამოცემას და მათი ცხოვრებაში დროს მიხედვით განხორციელებას.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ დეკრეტების ჩამოთვლას, რომელიც ახალმა დემოკრატიულმა მთავრობამ უნდა გამოაქვეყნოს და რომლებზედაც მსჯელობა უნდა იქონიოს პეტროგრადის დემოკრატიულმა თათბირმა. საჭიროა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელსაც მოსკოვში მომხდარმა თათბირმა სრულიად ყურადღება არ მიაქცია. რაც მოსკოვის თათბირზე, საშიშხართო დასაშვები იყო, შეუწყნარებელი იქნება პეტროგრადის თათბირზე. ამჟამად საერთაშორისო დემოკრატია ზავის გარშემო ამოძრავდა და ყველგან მის დაუყოვნებლივ ჩამოგდებას მოითხოვს. თვით გერმანიის მთავრობაც პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირს ელოდება და ამის შემდეგ აპირობს პაპის ნოტაზე პასუხის გაცემას. ამ ჟამად საუკეთესო მომენტი დგება ზავზე კვლავ ხმის ასამაღლებლათ და პეტროგრადის დემოკრატიულმა თათბირმა თავისი მოწოდების მსჯელობა უნდა იქონიოს. ამ საგანზე მან უნდა შეიმუშაოს გარკვეული ზომები საერთო ზავის ჩამოსაგდებათ, რომელთა ცხოვრებაში გატარება დაევალება, როგორც თათბირს, ისე რუსეთის მომავალ დემოკრატიულ ძროებითი მთავრობას. ასეთი ზომები უფრო მეტათ განამტკიცებს შინ და გარეთ დემოკრატიულ მთავრობას და მთელი ქვეყანა ერთობა რუსეთთან ერთად აცდება იმ საშინელ საფრთხეს, რომელსაც მსოფლიო ომის განგრძელება უწინასწარმეტყველებს.

დემოკრატიის დიქტატურა და მისი მართველობითი ძალის განმტკიცება ერთად-ერთი თავდებია რუსეთის შინაური და გარეშე განსაცდელისაგან დასახსნელად.

## ადგილობრივი მთავრობა კავკასიაში.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ადგილობრივი მთავრობაა. მისი შემადგენლობა და პოლიტიკა უნდა ეთანხმებოდეს ადგილობრივ ძალთა განწყობილებას, შეძლოს მალე და რიგიანათ გადაჭრა ყველა იმ კითხვების, რომელსაც ადგილობრივი ცხოვრება აყენებს. აკმაყოფილებს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი ამ მოთხოვნილებას?

ჩვენ ვამბობთ, რომ არა. მის ხელში ყოველგვარი რეფორმა დაუსრულებელი ლაპარაკის და დავის საგნად არ გამოდის. ყოველი დაწყებული საქმე ერთი და მის წარმომადგენელთა ნაციონალისტურ მოთხოვნილებათა მსხვერპლი ხდება.

თვით შემადგენლობა კომიტეტის და მასთან არსებულ ეროვნული თათბირის ამის მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს. საგანგებო კომიტეტი შესდგა ერთა წარმომადგენლების მიხედვით. იქ არის მუსულმანი, ქართველი, სომეხი და რუსი. და რადგან ეს ეროვნული წარმომადგენლობა უმთავრესათ (გარდა ჩხენკელისა) ნაციონალისტურ ელემენტების ხელშია, მათ ყოველ მოქმედებასაც ნაციონალისტური ელფერი ეძლევა. ყოველი რეფორმის გატარების დროს უპირველესად და ყველაზე თვალსაჩინო საკითხათ იქცევა ის, თუ ვის უნდა დაევალოს საქმის გაკეთება, რომელი ერის წარმომადგენელს. ამის გამო ხშირათ მაზრაში, სადაც მაგ. ერთი კომისარის ყოფნაც საკმაოა, 3—4 კაცი იგზავნება, ნაციონალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

ეს ეროვნული შეჯიბრება აფერხებს და სპობს თვით საქმიანობას. შინაარსის მაგიერ მთელი ყურადღება გადადის ფორმაზე, მოქმედების მაგიერ თვით მომქმედის ვინაობაზე. იმას ნაკლებ დაგიდევენ, თუ რას აკეთებს; უპირველეს ყურადღებას აქცევენ იმას, თუ ვინ აკეთებს.

ასეთ პირობებში ნაციონალისტურ მიდგომას ნიადაგი ეხსნება და ერთა შორის ძმური კავშირის ჩამოგდების და მათი დემოკრატიული წრეების შეკავშირების ნაცვლად მთავარი ადგილი ერთა განთვითვებას და მის ერთი მეორეზე დაპირდაპირებას ეთმობა. მაგრამ დემოკრატიას, რომელსაც სურს რევოლიუციის მოძრაობის განმტკიცება, არ შეუძლია წინ არ აღუდგეს ასეთ პოლიტიკას, როგორც რევოლიუციის დამსამარებელს. კავკასიის დემოკრატიის ცხოვრებაში ბრძოლა ასეთ ნაციონალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ ყოველთვის დიდ ადგილს იჭერდა. და მისი გამარჯვება ამ ნაციონალიზმის დამარცხებაში იხატებოდა.

ცხადია, დღესაც დემოკრატიულ მოძრაობის გაღრმავება-გაძლიერებას უნდა მოყოლოდა სურვილი ამ უმეცარი პოლიტიკის შეცვლის და ერთა სოლიდარობის და დემოკრატიულ მთლიანობის პოლიტიკის წარმოების.

დროებით რევოლიუციურმა კომიტეტმა, რომელიც შესდგა კონტრ-რევოლიუციისაგან ხალხის დასახსნელათ, ყველა რევოლიუციურ ორგანიზაციებთან სრული თანხმობით და სოლიდარობით სწორეთ ასეთი მოთხოვნილება წამოაყენა. მან საჭიროთ დაინახა ამიერ კ. საგანგებო კომიტეტის შემადგენლობის გადამოკეთება, მისი რევოლიუციურ მოძრაობის მოთხოვნილებებთან შეთანხმება.

მთავარი საფრთხე დემოკრატიას კავკასიაში ერთა ბრძოლიდან მოელის. რუსეთში ებრძვიან ძალები აქრობდა რევოლიუციას, ჩვენში ერთა შორის მტრობის ალმურში ახშობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები. ეხლა, ბურჟუაზიის შეთქმულობის ხანაში შესაფერი ზომების მიღება ასეთ მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლათ სწორი და აუცილებელია.

ამას მოითხოვს რევოლიუციის და დემოკრატიის ინტერესები.

გაზ. „რესპუბლიკას“ კი არ მოსწონს არც ასეთი მისწრაფება. რევოლიუციურ კომიტეტის, არც ნაციონალისტური პარტიების ჩამოშორება მხარის მართვა გამგეობიდან. იგი პრინციპიალურ დებულებას გვეკითხება და ამბობს,—ან ფედერაცია უნდა აღიარონ და თვითეულ ერს მისცენ ეროვნული წარმომადგენლობა, ან და რუსეთის ცენტრს ერთობაში დავემორჩილოთ ყველანი“. მაშინ თურმე არ ვიგრძნობთ დამორჩილების სუსხს. თითქოს არ უნდა იყოს ადგილობრივი ცენტრალიზაცია, ცენტრალიზაცია რევოლიუციური. ე. ი. „რესპუბლიკა“ წინააღმდეგია იმ რევოლიუციურ გაერთიანებულ ცენტრის, რომელიც დემოკრატიას ამაგრებს. ის ამით წინააღმდეგია დემოკრატიის. სხვა, რომელი ფორმაც უნდა შემოიღონ, რომელიც კი ნაციონალურ გათიშვას და არევ დარევას დღევანდელ გადამწყვეტ ხანაში—ხელს არ შეუშლის, იგი ყველაფრის თანახმაა.

ცხადია, დემოკრატია ამ გზით ვერ წავა. რევოლიუციის მოთხოვნილება დღეს პირველ ყოვლისა, დემოკრატიის გაბატონებაა. ბატონობა კი უარყოფს ნაციონალისტურ პარტიებს, როგორც არა დემოკრატიულ ჯგუფებს. ამიტომ ხომ არ აწუხებს გაზეთ „რესპუბლიკას“? „საჭიროა ყოველს უარის უთქმელათ, ან საერთო რუსეთის დასაზამი მართველობისა კავკასიაში, ან ავტონომია და ფედერაცია იმ ერების, რომელთაც ის ეკუთვნისო“. პირველი ნიშნავს ადგილობრივ ძალთა შეკავშირების უარყოფას, მეორე კი დღეს დღეობით მათ გათიშვას.

რევოლიუცია და რევოლიუციური ბრძოლა ძლიერია მთლიანობით, ერთსულოვნობით, ცენტრში და ადგილობრივ მათი სოლიდარობით. როგორც ვიცით, ამ მხრივ ადგილობრივი ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს რევოლიუციის მოთხოვნილებებს. იგი მოქმედებს პეტროგრადის რევოლიუციურ კომიტეტთან სრული თანხმობით. და ტყვილა ირჯება „რესპუბლიკა“ თავის „ღრმა“ დებულებების წამოყენებით.

ნაციონალისტური ტენდენციები გარიყა კავკასიის დემოკრატიამ და იგი მათ ბატონობას დღეს ველარ დააბრუნებს.

## დემაგოგიის ერთი ნიმუშთაგანი.

ცნობილია, რომ ბოლშევიკების მთელი არსებობის სათავე ხელოვნური დემაგოგიაა. ისინი მხოლოდ საბაბს ეძებენ, რომ მთელი თავიანთი „უბრო“ ლექსიკონით მენშევიკები შეამკონ, მოსცვივდნენ და მის ბელადს კბენა დაუწყონ. გაზ. „ბრძოლის“ უკანასკნელ (№ 15) ნომერშიც ერთი ბურზაური აქვთ ატეხილი და ცოდვა ყრიან,—რატომ ჩვენი კანდიდატი არ გავიდა საბჭოდან პეტროგრადის თათბირზე და გავიდა დაშნაცაკანი შახატუნი?

მთელი ამ თავის მარცხს ჩვენი ბოლშევიკები მეუმცირესეთ აწერენ და მათ ბელადს ნ. ჟორდანიას.

„მენშევიკების ბელადმა ნ. ჟორდანიამ სიგნალი მისცა თავის ფრაქციას და მათ გაშავეს მიხა ცხაკაია!“. „რა თქვეს ამით მენშევიკებმა? ძირს მიხა ცხაკაია, ძირს ბოლშევიკები, გაუმარჯოს შახატუნს, გაუმარჯოს დაშნაკელებს!“

შემდეგ მოყოლებულია მთელი ნაკადი გატაცებული დემაგოგიის, სადაც ასეთ მარგალიტებსაც კი შეხვდებით: „თავაშვებულ ბელადებს“ „ქუჩის კახპებივით ცინიკურად ვაჭრობენ თავის მანდატებით“ და სხ. ასეთია ხელის ხელ საგოგმანები ლალები ბოლშევიკური სიტყვიერებისა. ჩვენ ეს არ გვიკვირს, რადგან ვიცით, რომ „კოკაში შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდებას“.

ყოველი სიტყვა პირველ ყოვლისა მთქმელს ახასიათებს.

აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ფაქტს. ქონდათ თუ არა უფლება ბოლშევიკებს მენშევიკებისათვის ეკიცინებიათ თავისი დამარცხება.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ არა და აი რატომ.

# საერთაშორისო ომი.

**რიგის ფრონტზე შეტაკებებს ადგილობრივი ხასიათი აქვს. სხვადასხვა ადგილებში მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან. ზოგიერთ რაიონში რუსის მოწინავე რაზმები მტრის რაზმებს უკან აბრუნებენ და წინ მიიწევენ. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.**

**რუმინიის ფრონტზე მტერი კვლავ იერიშების მოტანას შეუდგა და მძიმე არტილერია ამოქმედა.**

**კავკასიის ფრონტზე სიწყნარეა.**

**საფრანგეთის ფრონტზე, იპრის რაიონში ინგლისის ჯარმა გაიმარჯვა და მრავალი დიდმნიშვნელოვანი სიმაგრეები ხელთ იგდო.**

**იტალია-ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.**

---

პირველად მათ თვით არ მისცეს ხმა მენშევიკების კანდიდატს და თავი შეიკავეს. მაშასადამე, რა უფლებით ელოდენ მათგან ხმის მიცემას და არა ამგვარათვე თავის შეკავებას? განა შე ძლიერა კაცს ხელი გაუწოდო, თუ ის ზურგს შემოგაქცევს?

მეორე, ჩვენს ფრაქციას თავიდან გადაწყვეტილი ჰქონდა ორი კანდიდატი თავის წრიდან წამოეყენებია. კანდიდატის დასახელება მიენდო ბიუროს. ამ უკანასკნელმა წამოაყენა მხოლოდ ერთი. მეორეს შესახებ კითხვა ჩვენთვის ღია იყო. ჩვენ არავითარი დადგენილება არ გამოგვიტანია არც ბოლშევიკის გაყვანაზე, არც მისი უმეტეს, დაშნაკცაკანის. და უკანასკნელი გავიდა მხოლოდ ბოლშევიკების უტაქტიკობის წყალობით. მათი თავდაჭერის გამო, რაიც ჩვენდამი უნდობლობას მოასწავებდა, და რასაც ჩვენი ღრმა პოლიტიკოსი ბოლშევიკები სისტემატიურად აწარმოებენ. ზოგიერთმა ჩვენი ფრაქციის წევრმაც მათ კანდიდატურასაც თავის დაჭერით უპასუხა. ნაწილმა კი, მიხა ცხაკაიას მისცა ხმა. სწორეთ ამის წყალობით მიხა ცხაკაიამ მიიღო 25 თუ 27 ხმა, რომელთა შორის 18—20 ხმა მენშევიკების იყო. მკითხველს უნდა გავახსენოთ, რომ კრებაზე 30—35-ზე მეტი არ დასწრებიან იმ დღეს ჩვენი ფრაქციის წევრები. მაშასადამე მას ხმა მისცა ნახევარზე მეტმა. დაშნაკცაკანმა შახატუნმა კი, რომელმაც მ. ცხაკაიას შემდეგ იყარა კენჭი, მიიღო ესერების და დაშნაკელების ხმები, რის გამო შედარებით უმრავლესობით გავიდა დელეგატათ.

ასეთია ფაქტები და ამის შემდეგ ბოლშევიკებს შესწევთ გამბედაობა ჩვენვე [illegible]?

მკითხველი ხედავს, რომ „რაც მოუვიდა დავითას, ყველა თავის თავითა“.

მათ ჩვენ ხმა არ მოგვცეს, ამით ჩვენს ხმებზეც უარი სთქვეს. ჩვენ მაინც 20 მდე ხმა მივეცით და თუ კიდევ ჩვენ გვეკუთვნის საყვედური, დაე ჩვენმა ამ ჩვეულებამ გვსაჯონ. ხოლო ბოლშევიკ მუშებმა კი, მათი ასეთი თავდაჭერის ტაქტიკა, რომელიც ყოველ კითხვაზე იჩენს თავს, თვითონ დააფასონ და მათ თავდაჭერის პოლიტიკოსობისათვის შესაფერი ფურცელი თუ ეკუთვნით,—უბოძონ.

## ჯარის გაწმენდა.

კერენსკის მთავრობამ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა იკისრა ნამდვილი დემოკრატიზაციის ცხოვრებაში გასატარებლათ.

ესაა ჯარის სარდლების და ხელმძღვანელების გაწმენდა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებისაგან. დრ. მთავრობა აცხადებს, რომ იგი გადააყენებს ყველა იმ სარდლებს და აფიცრებს, რომელთაც კორნილოვის აჯანყებასთან ქონდათ კავშირი, პასუხისგებაში მისცემს ამ აჯანყების მონაწილეთ. მათ ადგილას გამოწვევს ახალ სარდლებს, და აფიცრებს რევოლიუციის ერთგულ დამცველთ. ეს სწორეთ ისეთი ნაბიჯია, რომელსაც მოითხოვდა დემოკრატია და რომელიც დღემდე განუხორციელებელი რჩებოდა.

დრ. მთავრობა დღეს უკვე საჯაროთ აღიარებს ამავე პრინციპის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობას. ამიტომ დაგვრჩენია მხოლოდ ვუსურვოთ, რომ იგი ცარიელ დაპირებათ არ დარჩენილიყოს. ჩვენ გვგონია, რომ ჯარის ხელმძღვანელთა განახლებაში დიდი მონაწილეობა უნდა მიეცეს თვით ჯარის დემოკრატიულ ორგანიზაციებს, ჯარების კომიტეტებს, ჯარის კომისრებს და სხვ., რომელთაც უკვე დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება დემოკრატიისა და რევოლიუციისადმი.

მხოლოდ ასეთი განახლება შექმნის ძლიერ ჯარს, რომელსაც შეეძლია დაიცვას ფრონტი მტრისაგან და უზრუნველყოს შიგნით რუსეთი კორნილოვისებურ ავანტიურის განმეორებისაგან.

რეაქციონურ აფიცრობის დარჩენა ჯარში იწვევდა ექსცესებს თვით ჯარისკაცებში. ეს უკანასკნელნი, თავის უფროსებით უკმაყოფილონი, ადვილად ეგებოდენ დემაგოგიის და შეიძლება კონტრ-რევოლიუციის ფარულ აგენტების ანკესზე და თვითნებობის საშინელ აქტებს იმეორებდენ. აფიცრების დახოცვა ბრბოსაგან—ეს იგივე შეუგნებელი სამსახური კონტრ-რევოლიუციის, რაც დაგმობილი უნდა იქნეს. ჯარის გაწმენდა კონტრ-რევოლიუციონერთაგან ასეთ ექსცესებს ნიადაგს გამოაცლის. „დრ. მთავრობის განცხადება ექსცესების ჩამდენთა დასჯას გვპირდება. ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში დასჯაზე უფრო გამოასწორებს საქმეს რევოლიუციური პროპაგანდა და მასსის პოლიტიკური გაწვრთნა. რეპრესიები მხოლოდ პალიატივია, დროებითია, ზერელე ზომაა და ზოგჯერ მას მხოლოდ ახალი უკმაყოფილების გამოწვევა შეუძლია.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს რევოლიუციურ ორგანიზაციებისაგან.

## დეპეშები.

(რ. ტ. ს.)

10—11 სექტემბერი.

**დროებითი მთავრობის დადგენილება.**

**პეტროგრადი.** დროებით მთავრობის დადგენილებით ფოსტა ტელეგრაფის მინისტრი ალექსი ნიკიტინი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრათ, ამავე დროს ის ფოსტა ტელეგრაფის სამინისტროს გამგეთაც იქნება.

დროებითმა მთავრობამ მიმართა ჯარსა და ფლოტს, რომ კორნილოვის აჯანყებამ ჯარისკაცებში აფიცრებისადმი უნდობლობა დაბადა და ამით დაარღვია ჯარის მთლიანობა. ამიტომ დადგინა: 1) დროებითი მთავრობა თანამდებობიდან გადააყენებს ყველა იმ უფროსებს, რომლებიც მისი აზრით, ვერ არიან შესაფერი მტერს წინ დაუყენონ ჯარი და გაამაგრონ რესპუბლიკა, 2) დროებითი მთავრობა დაითხოვს ყველა უფროსებს მთავარ ბანაკიდან, რომლებსაც კორნილოვის აჯანყებაში რაიმე წილი უდევთ და მათ მაგიერ ნიშნავს რესპუბლიკის ერთგულ პირებს, 3) დროებით მთავრობას გამოყავს მთავარ ბანაკიდან ის ჯარი, რომელმაც აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო და მის მაგიერ იქ აყენებს რესპუბლიკის ერთგულ ჯარს, 4) დროებითი მთავრობა სამართალში აძლევს ყველა მათ, რომლებმაც ასე თუ ისე მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში. 5) დროებითი მთავრობა მოითხოვს ჯარსა და ფლოტისაგან დაუბრუნდენ წესიერ ცხოვრებას 6) დროებითი მთავრობა მოითხოვს დაუყონებლივ გადასცენ კანონიერ მთავრობას ყველა დაჭერილები, რომლებსაც შეთქმულობაში მონაწილეობას აბრალებენ. 7) იმ პირებმა, რომლებმაც გამოიჭირეს და გაუსამართლებლათ დახოცეს თავიანთი აფიცრები, ზოგნი დაიჭირეს და ზოგსაც დაიჭერენ და სამართალში მისცემენ, აღადგინეს ძველი რიგი მის თვითნებობა და უუფლებობა, რის მომსპობათაც რევოლიუცია მოხდა. მინისტრი თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარი სარდალი კერენსკი, სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი და საზღვაო მინისტრი ვერდერევსკი.

**საფრანგეთის დეპუტატთა პალატა.**

**პარიზი.** ლემერიმ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ინტერპელიაცია შეიტანა, რომლითაც მოითხოვა განუმარტონ რა ზომებს ღებულობს მთავრობა მოკავშირეებთან შეთანხმებისთვის ომის რაციონალურათ საწარმოებლათ და გადაჭრით განაცხადონ როგორ ესმით მათ „გამარჯვება“ და „ზავის“ მნიშვნელობა. ლებერი აკრიტიკებს ომის არსებულ დოქტრინას. ორატორის სიტყვით, დღევანდელი ომი მასალების ომია, ვისაც ეს მასალები მეტი აქვს გამარჯვებულიც ის დარჩება. საჭიროა დაუყოვნებლივ შემუშავებულ იქნას ხალხთა უფლება და არ დაეშვათ მოკავშირეთა ცალკე გამოსვლებს გერმანიასთან მოლაპარაკების გასამართავათ, სოციალისტმა ბრიუკემ შეეკითხა, რა პასუხს აძლევს მთავრობა პაპის ნოტაზე და სურვილს აცხადებს, რომ მთავრობა ვილსონის პასუხს შეუერთდეს. პენლევემ ინტერპელიანტის საპასუხოთ განაცხადა, რომ მთავრობა პრინციპიალურათ უერთდება ვილსონის წინადადებას. დასასრულ ის მოითხოვს ნდობა გამოუცხადონ მთავრობას. ერთი დეპუტატთაგანი სთხოვს რიბოს განუმარტოს რა მიზეზით არ გამოაქვეყნებს მოკავშირეთა შორის არსებულ პირობებს, თანახმად დაპირებისა. რიბომ განაცხადა, რომ საფრანგეთს არა აქვს საიდუმლო დიპლომატია და ის მზათ არის გამოაქვეყნოს ეს ხელშეკრულობანი, მხოლოდ მოკავშირეების თანხმობით. დასასრულ პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას და მორიგ საქმეებზე გადავიდა.

**დამფუძნებელ კრების არჩევნების ხარჯები.**

**პეტროგრადი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება შეიტანა დროებით მთავრობაში, რომ მომავალი დამფუძნებელი კრებისთვის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 90 მილიონს. ამათთვის საჭიროა ასი მილიონი კონვერტის და ბარათის დამზადება, რაც 700.000 მანეთი დაჯდება.

**არჩევნები.**

**პეტროგრადი.** პეტროგრადის დეპუტატების საბჭოს და მუშათა სექციის პრეზიდიუმის და სექციის არჩევნები მოხდა. ბოლშევიკების ფრაქციამ მიიღო 6 ადგილი; მენშევიკებმა 2 ს.-რევოლიუციონერებმა—3. თავმჯდომარეთ აირჩიეს ფედოროვი, ბოლშევიკი, მის ამხანაგებათ ს.-რევოლიუციონერი იაკოვლევი და მენშევიკი—ბროიდო.

**დემოკრატიულ ორგანიზაციების გაერთიანებულ კომიტეტის მოწოდება.**

**პეტროგრადი.** დემოკრატიულ ორგანიზაციების გაერთიანებულმა კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა, რომლითაც მოუწოდებს მოქალაქეთ, საჩქაროთ შეუდგნენ დემოკრატიის მობილიზაციას ქვეყნის დასაცავათ, რადგან უამისოთ რუსეთის რესპუბლიკა ვერ შესძლებს თავი დაიცვას ავსტრია-გერმანიის მონარქიზმიდან, ის ხელს მოაწერს თავის სიკვდილით დასჯას განაჩენს.

**თავისუფლების სესხის პროცენტები.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ 100 მილიონი მანეთი გადასდო თავისუფლების სესხის ობლიგაციებზე პროცენტების გადასახდელათ.

**ახალი ქაღალდის ფული.**

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა გამოსცეს 250 მანეთიანი ქაღალდის ფული. აგრეთვე მოიწონა ფინანსთა მინისტრის პროექტი—გამოიცეს დროებით სახაზინო 20 და 40 მ. ნიშნები, რომლებსაც ქაღალდის ფულის ღირებულება ექნება.

**გენ. ალექსეევის გადადგომა.**

**პეტროგრადი.** უმაღლესი მთავარ-სარდალი თავის ბრძანებაში ეხება რა ალექსეევის მოღვაწეობას გენ. კორნილოვის აჯანყების ჩაქრობაში, აცხადებს, რომ, თანახმად მისი თხოვნისა, გენ. ალექსეევი განთავისუფლებულია თანამდებობიდან და ისევ დროებით მთავრობის განკარგულებაში რჩება.

**პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს კრება.**

**პეტროგრადი.** პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს კრებაზე პირველად დაისვა საკითხი პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. ჩხეიძემ დაადასტურა, რომ პრეზიდიუმი გადადგა, რადგან ერთ წინანდელ კრებაზე მიიღეს ბოლშევიკების რეზოლიუცია, რაც ძირიანათ სცვლის საბჭოს ფიზიონომიას. კამათში მონაწილეობა მიიღეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. დიდი სიტყვა წარმოსთქვა წერეთელმა. მან მოითხოვა გარკვევით ეჩვენათ სწორ თვალთა ხედვის ისარზე იდგა პრეზიდიუმი თუ ეხლა მოხდა ცვლილება და პრეზიდიუმი არ შეეფერება საბჭოს მდგომარეობას. ს.-დ. მენშევიკებმა და ს.-რევოლ. შეიტანეს რეზოლიუცია, რომ 31 აგვისტოს საბჭომ შემთხვევით მიიღო ბოლშევიკების რეზოლიუცია და საბჭო ნდობას უცხადებს თავის პრეზიდიუმს. 418 ხმით წინააღმდეგ 519 ხმისა რეზოლიუცია უარჰყვეს. ჩხეიძემ განაცხადა, რომ პრეზიდიუმი თავს ანებებს და ტრიბუნიდან ჩამოდის. პრეზიდიუმის ადგილს იჭერს ჯარისკაცთა სექციის პრეზიდიუმი. ბოლშევიკები ტაშს უკრავენ. მათი წარმომადგენელი აცხადებს, რომ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭო დღეიდან თავის ისტორიის ახალ ხანაში გადადის.

**უნივერსიტეტი ირკუტსკში.**

**პეტროგრადი.** საჭიროდ სცნეს ამ სამოსწავლო წელში გახსნან ირკუტსკში უნივერსიტეტი. ჯერ-ჯერობით გაიხსნება იურიდიული ფაკულტეტი.

**მ ო წ ო დ ე ბ ა.**

**პეტროგრადი.** მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სამხედრო განყოფილებამ მოწოდებით მიმართა ფრონტის ჯარის კომიტეტებს და ჯარის კაცთა დეპუტ. საბჭოებს სადაც აღნიშნავს, რომ გენერალ კორნილოვის აჯანყებას დემოკრატიის შეკავშირებულმა ძალამ ბოლო მოუღო და ეხლა რომ კიდევ ასეთი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა არ განმეორდეს, საჭიროა ძლიერი ავტორიტეტული მთავრობის შექმნა და ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადასწყვიტოს 12 სექტემბერს დემოკრატიულმა ყრილობამ, ხოლო ამ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა ექნება თუ დანარჩენი შეგნებული ელემენტები შეთანხმებულად იმოქმედებენ. დასასრულ ბიურო მოუწოდებს ამხანაგებს, განაგრძონ მუშაობა ჯართა ბრძოლის ძალის გაძლიერებისთვის.

ქვეყნის დაცვის დემოკრატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებულმა კომიტეტმა გამოსცა მოწოდება რუსეთის მოსახლეობისადმი. ამ მოწოდებაში აღნიშნულია, დღევანდელი საშიში მდგომარეობა. კომიტეტი მოუწოდებს ყველას მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის დაცვის საქმეში. მტერი დედა ქალაქის კარებთან სდგას და რუსეთის თავისუფლებას ბასრი მახვილით ემუქრება, მისი თავის მოკვეთა სურს,—ნათქვამია მოწოდებაში—ყველას ვალია დაიცვას ეს თავისუფლება და სამშობლოს არსებობა. რუსეთის ყოველ კუთხეში შესდგეს რევოლიუციონურ დემოკრატიისგან ქვეყნის დაცვის კომიტეტები, და დაუყონებლივ შეუდგენ ქვეყნის დახსნისთვის ენერგიულ მუშაობას.

**პ რ ო ვ ო კ ა ტ ო რ ი.**

**სტოკჰოლმი.** რუსეთის მთავრობის კომისარმა სვატიკოვმა ემიგრანტთა კომიტეტის სიაში აღმოაჩინა პროვოკატორი ანდერსენი, რომელიც გუშინ მიიმალა.

**პაპის ნოტაზე გერმანიის მთავრობის პასუხი.**

**სტოკჰოლმი.** ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის მთავრობის პასუხი პაპის ნოტაზე. პასუხში ნათქვამია, რომ იმპერატორის სულითა და გულით სურს პაპის მოწოდება კეთილათ დაგვირგვინდეს. იმპერატორი ტახტზე ასვლის დღიდან იმ აზრით გამსჭვალული იყო, რომ დაეცვა მშვიდობიანობა, რაც მან თავის სიტყვაში განაცხადა. ამ აზრს იცავდა ის 26 წლის მეფობის განმავლობაში. ეხლაც ამ საშინელ კატასტროფის დროს უკანასკნელ წუთამდე ის ცდილობდა მშვიდობიანი გზით გადაეჭრა საკითხი და თითქმის ომის დაწყების შემდეგაც თავის მოკავშირეებთან შეთანხმებით პირველმა გამოსთქვა სურვილი ზავის შესახებ მოლაპარაკების დაწყების. გერმანიის ხალხს სურდა მშვიდობიანი განვითარების გზით სვლა, მაგრამ 1914 წელს მის ამ სურვილს ფრთა შეაკვეცეს. დღეს განსაკუთრებულ სიამოვნებით ეგებება პაპის სამშვიდობო გამოსვლას, სადაც ნათქვამია, რომ მომავალში იარაღის ნაცვლად მორალურ ძალას ექნება მნიშვნელობა. გერმანიის მთავრობა იზიარებს პაპის შეხედულებას. არც ერთ ხალხს ზავი ისე არ სურს, როგორც გერმანიას, რომ სიმძულვარის და ბრძოლის მაგიერ ერთა შორის სიყვარული და ძმობა გამეფდეს. პასუხის დასასრულ იმედს გამოსთქვამენ, რომ გერმანიის მტრები პაპის წინადადებაში საკმაო საბუთებს ნახვენ, რომ მომავალ ზავისთვის მოლაპარაკებას შეუდგნენ.

## ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 10 სექტემ. რიგის მიმართულებით, რუნენის(?) რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია და მტრის მოწინავე რაზმებს უკან დაახევია. იაკობშტადტის რაიონში ჩვენი ჯარი მდ. დვინის მარჯვენა ნაპირათ გამაგრდა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

რუმინიის ფრონტზე რასოლუცის(?) სამხრეთით მტერმა ჩვენს პოზიციებს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინა; მუნჩელეს(?) რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 9 სექტემბერი. ეუის(?) ჩრდილოეთით მტერმა უშედეგო იერიში მოიტანა. მდ. მაასის ნაპირებთან საარტილერიო სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო.

**ლონდონი.** 8 სექტემ. საფრანგეთის ფრონტზე, იპრის აღმოსავლეთით 13 კილომეტრის მანძილზე ჩვენმა ჯარმა იერიშების მოტანა დაიწყო. აქ ჩვენ მეტათ დიდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილები დავიკავეთ. ჩრდილოეთ ნაწილებში ჩვენმა მოქმედმა პოლკებმა დაიკავეს ინვერნეს ტყე ხოლო ავსტრალიის ჯარმა ნონებოშენის ტყე. შოტლანდიის ბრიგადამ დაიკავა პოტსდამის, ვამპირისა და ბერის ფერმები. მარჯვენა ფლანგზე ინგლისის ჯარმა კომინის ჩრდილოეთით წინ წაიწია. ფრონტის შუაგულ ადგილებში 1600 მეტრი მანძილით წინ წავიწიეთ და ხელთ ვიგდეთ სოფ. ველდჰოკი და სხვა ადგილები დავიკავეთ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 2000 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ზარბაზანი.

**რომი.** 8 სექტემბერი. გენუეზის ზემო ნაწილებში, ჩიმადი-ოლონის(?) სამხრეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ და მას დიდი ზიანი მივაყენეთ. კოლბრიკონის მახლობლათ მტრის სანგრები ავაფეთქეთ კორდეულეს ზემო ნაწილებში მოწინააღმდეგის პოზიციები დავიკავეთ.

## დეპეშა

**თელავი.** ქალაქის თავად აირჩიეს კონ. ანდრონიკაშვილი (სოც.-დემ.) გამგეობის წევრად კირაკოზოვი და იმნაძე (სოც.-დემ.) და დაშნაკცაკანი ტერ-არუთინოვი. ფედერალისტებმა უარი განაცხადეს გამგეობაში მონაწილეობის მიღებაზე.

ვახვახიშვილი.

—

**ხონი.** ხონის ქალაქის თვითმართველობა აცნობებს სასწავლო ოლქის კომისარიატს, რომ მსგავსად თფილისის თვითმართველობისა, მან შეადგინა საშუალო კომიტეტი, რომელიც ჩაითვლება ერთად-ერთ კომპენტენტიურ ორგანოთ კომისარიატის მიერ შემუშავებულ ცვლილებათა ცხოვრებაში გატარებლათ ადგილობრივ სასწავლებლების ნაციონალიზაციის საქმეში.

საბჭოს თავმჯდომარე ქაცარავა.

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 7 საათზე, ბიუროს ბინაზე (გოლოვინის პრ. № 12). დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის წევრთა კრება.**

◆ **ტრამვაის მოსამსახურეები.** ამას წინეთ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებმა მიმართეს ქალაქის გამგეობას, სთხოვეს სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადის გადადება, ჯამაგირების მომატება და ომში გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენა ამ დღეებში ეს კითხვა განიხილა ტრამვაის, შრომის და საფინანსო კომისიებმა. პირველი მოთხოვნილების შესახებ დაადგინეს: სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა გადაუდვან მხოლოდ ხელოსნებსა და ვატმანებს, მაგრამ ვინაიდან ადგილობრივ პირობების მიხედვით დღეს კონდუქტორების შოვნა ძნელია, დაადგინეს: იშუამდგომლონ, რომ ამ უკანასკნელებსაც მიეცეთ შეღავათი. მეთვალყურეებს არ მიეცემათ შეღავათი. ოჯახებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ დაადგინეს გაავრცელონ ტრამვაის მუშა მოსამსახურეებზე იგივე უფლებები, რომლითაც სარგებლობენ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი საზოგადოთ. ჯამაგირების მომატების საკითხი შემდეგ სხდომისთვის გადაიდვა.

◆ **ამიერ კავკასიის სასწავლო ოლქის კომისარიატმა** და მასთან არსებულმა საბჭომ შეიმუშავა სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. პროექტი ამ დღეებში დაამტკიცა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა და საჩქაროდ ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ ნაციონალიზაციის სრული განხორციელება შეუძლებელია, თუ სათანადო ნაციონალური პროგრამები არ იქნება შემუშავებული. ამ მიზნისთვის საჭიროა კომისარიატთან დაარსდეს ნაციონალური სასკოლო საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს [illegible] პროგრამები, განიხილოს [illegible] სახელმძღვანელოები, შეიმუშაოს ტერმინოლოგია, [illegible] სკოლის ხელსაწყო ნივთების და წიგნების დამზადებისათვის ნაციონალურ სასკოლო საბჭოს დასაარსებლად. კომისარიატი მიმართავს ქართულ კულტურულ დაწესებულებებს გამოგზავნონ საბჭოში ორი ან სამი დელეგატი. არჩევის დროს სახეში უნდა იქნას მიღებული, რომ სასკოლო საბჭოსათვის საჭირო იქნებიან სპეციალისტები სხვადასხვა საგნებისა: ლიტერატურის, ისტორიის, ბუნების მეტყველების, მათემატიკის, გეოგრაფიის, ენების და სხვ.

◆ **სიმონეთის გლეხები და ანანოვი.** კავკასიის რევოლიუციონურ კომიტეტის საგანგებო მინდობილობათა აფიცერი ამხ. ს. ქორქოლიანი გუშინ გაემგზავრა სოფ. სიმონეთში (ქუთაისის მაზრა), რომ გადასცეს გლეხებს კომიტეტის დადგენილების თანახმათ 377 ქცევა მიწა. ეს მიწა გლეხებს შეუძენიათ 1864 წ., მაგრამ როცა სვიატოპოლკ-მირსკის თავისი მამული მიუყიდია ანანოვისათვის, გლეხების მიწაც თან გადაუცია მისთვის. ანანოვის მოთხოვნაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხებმა არ დაუთმეს თურმე თავისი საკუთარი მიწა და განაგრძობდენ მასზე მოსახლეობას. ეს იწვევდა მუდმივ უთანხმოებასა და საჩივარს. თვით ყოფილ მეფის მოადგილე გოლიცინსაც კი დაუდგენია, რომ მიწა გლეხების უდავო საკუთრებას შეადგენს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება გლეხებამდე ვერ აღწევდა და ანანოვიც განაგრძობდა მათ შევიწროებას. დღეს კვლავ წამოდგა ეს საკითხი და რევოლიუციონურმა კომიტეტმა გადასწყვიტა, ბოლო მოუღოს ასეთ არა ნორმალურ მდგომარეობას.

◆ **ამიერ კავკასიის სასწავლო ოლქის კომისარიატმა** დაამტკიცა რაიონების კომისრებათ: ი. პოგარელოვი, ი. გომელაური, პ. ჩარექიშვილი და ვ. ჯაფარიძე, რომლებიც არჩეული იყვენ თფილისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობის მიერ. სახალხო დირექტორის თანამდებობა გაუქმებულია. კომისარები ემორჩილებიან სასწავლო ოლქის კომისარიატს.

◆ **ბაღდათის რკინის გზა.** ამიერ კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა გადასწყვიტა გაიყვანოს რკინის გზა დ. ბაღდათში, რომ ამით შესაძლებელი გახდეს ბაღდათის რაიონის ტყეებით სარგებლობა. აჯამეთის ტყის პატრონი ანანოვი ცდილობს ეს გზა გაყვანილ იქნას სადგურ რიონიდან ან აჯამეთიდან. მაშინ ისეთ მჭიდროთ დასახლებული სოფლებში, როგორიცაა სვირი, ობჩა, რადინაული, ფერსატი, სიმონეთი და სხვ. რკინის გზის ლიანდაგი არ გაივლიდა. ეს კი დიდათ შეამცირებდა გზის მნიშვნელობას. ამიტომ ხსენებულ სოფლების მცხოვრებლებმა აირჩიეს დელეგაცია და დაავალეს მას იშუამდგომლოს, რომ გზა გაყვანილი იქნას სადგ. სვირიდან. სპეციალისტ-ინჟინრებმა განიხილეს ეს საკითხი, დაათვალიერეს ბაღდათის რაიონი და იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ უფრო სასარგებლო და მიზან-შეწონილი იქნება, თუ გზას სვირიდან გაიყვანენ. ამ საკითხს ამ დღეებში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი განიხილავს.

◆ **სამხედრო ცენზურა.** კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა განიხილა რა მოხსენება სამხედრო ცენზურის შესახებ, დაადგინა: დაევალოს მთელ კავკასიაში და მოქმედ ჯარის რაიონში არსებულ ყველა გამოცემათა რედაქციებს წარადგინონ სამხედრო ცენზურის დაწესებულებებში ის მასალები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს გარეშე მტერთაგან თავდაცვის შესახებ; დაევალოს სტამბებს არ დაბეჭდონ ხსენებული მასალები, თუ მათ არ აქვს სამხედრო ცენზორის ნებართვა; სამხედრო ცენზურის მიერ უარყოფილი მასალები არას შემთხვევაში არ დაიბეჭდება; სამხედრო ცენზურის დაწესებულებებს მიეცეს წინადადება იხელმძღვანელონ დროებით წესების მე-28 მუხლით და მიიღონ ზომები, რომ მასალები არ დარჩეს ცენზორის ხელში განსაზღვრულ დროზე მეტს.

◆ **ნაძალადევის ბინის კომიტეტმა** დროებით მოქმედება შეაჩერა, ვინაიდან იმ სკოლაში, რომელშიაც კომიტეტი იყო მოთავსებული, სწავლა დაიწყო. განაახლებს მოქმედებას, როცა ბინას იშოვის.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის** განკარგულებით 1 სექტემბრიდან საფოსტო ოპერაციების ნიხრი (ამანათების გადაგზავნა დაზღვევა, წერილების ფასი და სხ.) ორჯერ არის გადიდებული.

◆ **მტკიცე ფასი ხორბალზე.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა საბოლოოთ დაამტკიცა ხორბალზე მტკიცე ფასი 8 მან. ფუთზე.

◆ **ხორბლეულობის შეხყიდვა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრი გ. დალაქიშვილი გაემგზავრა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ხორბლეულობის შესასყიდათ.

◆ **ახალი საფოსტო განყოფილებანი** გაიხსნა სოფ. ვანში (ქუთაისის მაზრა) და ნაგომარში (ოზურგეთის მაზრა).

◆ **სურსათი.** 10 სექტემბერს თფილისში შემოიტანეს 2 ვაგონი ფქვილი, 2 ვაგონი შაქარი და 3 ვაგონი ქართოფილი.

**კრებები და მიტინგები.**

15 სექტემბერს, საღამოს 6 ს., ახალ ბინაზე დანიშნულია 1 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

## უკანასკნელი ფოსტა.

კომისარმა ფილონენკომ მოხსენება გააკეთა პეტროგრადში რიგასთან დამარცხების შესახებ. მან განაცხადა, რომ რევოლიუციონური ჯარის დამარცხება გენერალ კორნილოვს ეხაროდა და თავისი ოფიციალური მოხსენებებით გერმანიის შტაბს საქმის ვითარებას აცნობდა.

— პეტროგრადში გამოიცა წესები მუშათა მილიციის შედგენის შესახებ. მილიციაში მიიღებენ პროფესიონალური კავშირების და სოციალისტური პარტიების რეკომენდაციით.

— კორნილოვის მომხრეთ დაპატიმრების დროს აღმოჩენილი საბუთები, რომლითაც შემდეგი მტკიცდება: ისინი 20 სექტემბრისთვის პეტროგრადში აწყობდნენ გამოსვლას, რომლისათვისაც უპირებდნენ ზალშივსკური ხალიათის მიცემას.

— ინგლისის მთავრობა უარყოფს ხმებს, თითქოს მან გერმანიისთვის წინ დადება მიეცეს ზავზე მოლაპარაკების შესახებ. პეტროგრადის გაზეთები ბევრს სწერენ ზავის შესახებ. „უწყებანი“ და „ს. ქიზნი“ აღნიშნავენ იმ საშიშროებას, რომელიც მოსალოდნელია ბურჟუაზიის მიერ ზავის ჩამოგდებით. ამ გაზეთების სიტყვით ზავის ინიციატივა უნდა იკისროს თვით დემოკრატიამ, წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუცია საფრთხეში ჩავარდება.

— გერმანული პრესა ჰმომადგილში რუსეთთან ეკონომიური დამოკიდებულების საკითხს არკვევს. პეტროგრადის გაზეთების სიტყვით გერმანია დათმობის გზას ადგია, მაგრამ გაზეთებს არ სჯერათ, რომ მოკავშირეები რუსეთის ხარჯზე მოუღებენ ომს ბოლოს.

— ტყიბულის ქვა-ნახშირის მადაროები „ნახშირა“ პირველ სექტემბრიდან გადავიდა ამიერ კავკასიის სამხედრო სამოქო სამრეწველო კომიტეტის ხელში. მადაროს მუშამოსამსახურენი ძველ პირობებში დარჩებიან.

— ხვალ, საღამოს 6 ს. ნაძალადევის თეატრში დანიშნულია რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ყველა „ცეხების“ ორგანიზაციათა წევრების კრება.

— დღეს, სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის კრება.

— მე 4 რაიონის კოლექტივის ცენტრალური ბიურო, მე 6 სავაჟო გიმნაზია, (უდელის ქ. № 3) ღიაა ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე და საღ. 6—7 ს-დე.

— 1 რაიონის კოლექტივის ბიურო გადავიდა. ახალ ბინაზე ნაძალადევში (ჩერქეზოვის ქ., ნეფარიძის სახლი) ბიურო ღიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

## პროვინციის ქრონიკა.

**ლიხაური** (გურია) პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან. წელს იხსნება პირველი და მეორე კლასი. ორივე კლასში არის თავისუფალი ადგილები მოწაფეთათვის. წლოვანობა ხელს არ უშლის.

**ხამტრედია.** 1 ენკენისთვის კრებაზე, რევოლიუციონურ კომიტეტმა დაადგინა: დაიბეჭდოს მოწოდება და დარიგდეს მთელს რაიონში, დაიგზავნოს მიტინგებზე წარმომადგენლები, როგორც ჯარის კაცებიდან ისე კომიტეტისაგან. დაარსებულ იქნას სახალხო მილიცია, რისთვისაც ეხლავე შეძენილ იქნას იარაღი, თანახმად კავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილებისა. რევოლიუციონურ კომიტეტის სხდომები ხდებოდეს მფარინავი კომისიის მოწვევით თავმჯდომარესთან ერთად შეთანხმებით. ყველა ეს ზომები კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგაა მიღებული.

**ს. მახაჩი** (ლეჩხუმის სახოგადოება). ადგილობრივ ინტელიგენტთა მეთაურობით აქ პირველად გაიმართა წელს წარმოდგენა. შემოსავალი ამ წარმოდგენისა გადაიდო სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად.

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

1 სექტემბერს შესდგა ახალი საბჭოს სხდომა. ყოფილი ქალაქის თავის ი. ჩიქოვანის სიტყვის შემდეგ ფრაქციების უფროსმა დეპუტატებმა წაიკითხეს დეკლარაციები. სოც. დემოკრატების მხრით—ამხ. გრ. გიორგაძემ, სოციალ რევოლ.—ი. თევზაძემ, სოც. ფედერ.—დ. უზნაძემ და ეროვნ. დემოკრ.—ტრ. ჯაფარიძემ. საბჭოს თავმჯდომარეს დაენიშნა წლიურად 5 ათასი მანეთი. ამ თანამდებობაზე აირჩიეს ამხ. ალ. ივ. ჯაფარიძე. ქალაქის გამგეობაში იქნება 4 კაცი, მეხუთე ქალაქის თავი. გამგეობის წევრთ და აგრეთვე ქალაქის თავსაც დაენიშნა თითოეულს—5 ათასი მანეთი. ორ მდივანს—საბჭოსას და გამგეობისას—თითოეულს 4 ათასი მანეთი. ქალაქის თავად არჩეულ იქნა ამხ. დიმ. კალანდარიშვილი, რომელმაც შემდეგის სიტყვით მიმართა საბჭოს:

ამხანაგებო და მოქალაქენო ხმოსნებო! ნება მიბოძეთ მადლობა გითხრათ ნდობის გამოცხადებისათვის. კარგათ მესმის, რომ ეს ღაწისცემა მე არ მეკუთვნის. ეს იმ პარტიას ეკუთვნის, რომელმაც მე წამომაყენა კანდიდატათ. ეს მან სამართლიანად დაიმსახურა და მეც წინდაწინ ნდობა მომანიჭა. ეს ნდობა მოვალეობას მაკისრებს და ვეცდები თქვენი და რევოლიუციონური დემოკრატიის ნდობა გავამართლო. როდესაც წინადადება მომცეს, ბევრი ვიფიქრე ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც ქუთაისია, მქონდეს თუ არა უფლება ვიკისრო ქალაქის თავობა. შეეწევა თუ არა ძალა ამ დიდი საქმის შესასრულებლად. ამ კითხვაზე პასუხის მიცემა გამიძნელდა. შემდეგ სხვა ნაირათ დავაყენე კითხვა. მქონდა თუ არა უფლება უარი მეთქვა, არა, ამის უფლება არ მქონდა. მართალია, ძნელია მუნიციპალური მუშაობა, ნამეტურ დღეს, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ დავამტკიცოთ, რომ რევოლიუციონურ დემოკრატიას ეხერხება არა მარტო დამხობა ძველი წყობილებისა, არამედ,—შეუძლია ახალი ცხოვრების ასაღორძინებლად შემოქმედებითი მუშაობის წარმოებაც. ეს შემოქმედებითი მუშაობა აქ უნდა დაიწყოს. მე თქვენს წინაშე დღეს არ ვამოდიყულებ. ეს თქვენც მოგეხსენებათ. არც პროგრამაზე დავიწყებთ ლაპარაკს. თქვენ უკვე გაიცანით ჩვენი ფრაქციის დეკლარაციას. შეიძლება გამგეობაში ყველა ფრაქციამ არ მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ საბჭოსა და კომისიებში კი იქნებიან. სხვა ნაირათ შეუძლებელიცაა. ისინი აქ სწორედ სამუშაოთ მოვიდნენ. თუ შეგვხვდება ეს საქმე, ეს საშიშროება, მაგრამ ეს ყველაზე მეტად საშიშროებაა ქვეყნისთვის ჩემთვისაც. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და რევოლიუციონურ თვითმართველობას!

## ეროვნული ინტერპარტიული საბჭო.

ჩვენში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიის წარმომადგენელთაგან შესდგა საერთო შემათანხმებელი ცენტრი—საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო. ეროვნული ინტერპარტიული საბჭო მიზნად ისახავს რევოლიუციის დაცვას და ქართველი ხალხის პოლიტიკურ-ეკონომიურ, კულტურულ-საზოგადოებრივ და საერთაშორისო საჭიროებათა დაკმაყოფილებას და გაძლიერებას. საბჭო აერთებს ერის ცოცხალ ძალებს და ხელს უწყობს ადგილობრივ ერთა თანხმობის და კავშირის დაარსებას დემოკრატიის და თავისუფლების გასამტკიცებლად. ეროვნული ინტერპარტიული საბჭო უკვე შეუდგა მოქმედებას. მას ჰყავს თავისი აღმასრულებელი კომიტეტი სხვათა შორის, ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ პეტროგრადში 12 სექტემბრისათვის მოწვეულ დემოკრატიულ თათბირზე დასასწრებლად აირჩია ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ს. მდივანი და შ. ამირეჯიბი. ისინი საბჭოს სახელით სახელმწიფოებრივ თათბირზე დაიცავენ—ძალაუფლების გადასვლას რევოლიუციური დემოკრატიის ხელში, კონტრრევოლიუციასთან მედგარ ბრძოლას, რესპუბლიკის დაცვას, დამფუძნებელ კრების საჩქაროდ მოწვევას, დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას, ერთა თვითგამორკვევას, საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ თვითმართველობას, საერთოდ ყველა ერის პოლიტიკურ უფლებას და მათთან შეთანხმებით მოქმედებას დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს დროებითი მისამართი: თფილისი, ფრეილინის ქ., № 12. სადეპუტატო საკრებულოს შენობა.

## რევოლიუციის ცხოველმყოფელობა.

ძველი წყობილება ხელს უშლიდა ბურჟუაზიის ეკონომიურ განვითარებას, ის ფრქელი აღმოჩნდა დაკმაყოფილებია ბურჟუაზიის მისწრაფებანი საერთაშორისო პოლიტიკაში. ნიკოლოზ რომანოვის მთავრობამ, რომელმაც ბურჟუაზიის კარნახით ჩააბა რუსეთი საერთაშორისო ომში, კონსტანტინეპოლისა და სრუტეების ხელში ჩაგდების იმედი ვერ გაუმართლა ბურჟუაზიას. ამიტომ იყო ბურჟუაზია პირველ დღეებშივე, რომ რევოლიუციას მიემხრო, ამიტომ იყო როძიანკო-გუჩკოვ-მილიუკოვებმა რომ აქტიური მონაწილეობა მიიღეს თვითმპყრობელობის დამხობაში და აიძულეს ნიკოლოზი ხელი მოეწერა ტახტიდან გადადგომის აქტზე.

ბურჟუაზია მაშინ რევოლიუციონური იყო იმდენათ, რამდენათაც მას საარსებო ინტერესები აიძულებდა ომი გამოეცხადებია ძველი წყობილებისათვის, რამდენათ ეს ხელს უწყობდა მისი ბატონობის განმტკიცებას. ბურჟუაზიაც აქეთებდა საერთო საქმეს, ისიც რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. მაგრამ მას საკუთარი მიზანი ჰქონდა დასახული.

და რამდენათ ეს მიზანი ეთანხმებოდა მუშათა კლასის მოთხოვნილებებს, რამდენათ ბურჟუაზია იბრძოდა დემოკრატიასთან ერთათ, იმდენათ საღი მოსაზრება, სწორი ტაქტიკა მოითხოვდა არა ბურჟუაზიის განცალკევებას, მის ჩამოშორებას, არამედ მასთან ერთად ძველი ნანგრევების დაშლას.

ყოველ ვე მოთხოვნილება მაშინ იმარჯვებს, თუ მას ფართო მასსა უჭერს მხარს. როცა რევოლიუციის პირველ დღეებში ეს მასსა როძიანკოს სურათით დადიოდა ქუჩებში, როცა ეს მასსა ვერც კი არჩევდა სად იწყებოდა დემოკრატიის მიზნები და სად თავდებოდა ბურჟუაზიის მისწრაფებანი,—მაშინ ბურჟუაზიისათვის ბრძოლის გამოცხადება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბოლომდის არ შერჩებოდა რევოლიუციას,—უაზრობა და უტაქტობა იქნებოდა. ამით ჩვენ ჩამოვაშორებდით მასსას, ამით ჩვენ ავახხლებდით იმათ, ვინც როძიანკო-გუჩკოვს აღმერთებდა, რევოლიუციის პირველ დღეებში და, ვინ იცის, რევოლიუციას რა ბედი ეწეოდა!..

მაგრამ დღეს ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ რევოლიუცია გაცილებით უფრო ძლევა-მოსილი გამოდგა, ვინემ მას უნდოდა. მუშათა კლასი არ დაკმაყოფილდა ძველის დამხობით და მძლავრათ მიექანება წინ, დემოკრატიულ მიზნისაკენ. ბურჟუაზიამ ვერ შესძლო თავის მიმართულებით წაეყვანა რევოლიუცია და იგი აშკარათ შეებრძოლა მას, აშკარათ გადავიდა კონტრ რევოლიუციონერთა ბანაკში. ბურჟუაზიისათვის სამშობლო იმდენათ არის ძვირფასი, რამდენათაც ის მისი ჯიბის ვასქელებას ემსახურება. ხოლო როცა ბურჟუაზიის კეთილ-დღეობას დემოკრატია დაემუქრა, მან მიივიწყა სამშობლოს ინტერესებიც, მიივიწყა ყველაფერი, ოღონდ თავისი ბატონობა შეენარჩუნებია. ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზიის ლოცვა-კურთხევით ჯარის მთავარსარდალმა ქვეყნის გარეშე მტერთაგან დაცვის მაგივრათ ფრონტი გაარღვია, მტერი სახლში შემოუშვა და თვითონ პეტროგრადისაკენ გაეშურა დროებითი მთავრობის ჩამოსაგდებათ. მაგრამ რევოლიუცია ცხოველმყოფელი გამოდგა, მან შესძლო კონტრ რევოლიუციონერთა გამოსვლის ძირშივე ჩაკვლა, საფრთხის თავიდან აშორება და ღიად დაინახა ვინ არის ხალხის მტერი და ვინ მეგობარი. დღეს დადგა დრო, როცა დემოკრატია ვალდებულია დამოუკიდებლად აწარმოოს რევოლიუცია და თავისი მიზნები განახორციელოს.

ბრძოლა ყველა კონტრ რევოლიუციონერებს, სასტიკი ბრძოლა მათ სულის ჩამდგმელ ცენზიან ბურჟუაზიას!.. ის, რაც ისტორიის მიერ განწირულია, ვერ აღსდგება. ძველი წყობილების დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც მზის ამოსვლის შეჩერება.

რევოლიუციის ფესვები ქვეყნის ეკონომიურ განვითარების ისტორიულ პირობებშია ჩამარხული. ამაშია სწორეთ რევოლიუციის ცხოველმყოფელობა და მის დამარცხებას ვერ შესძლებს ვერავითარი ძალა.

ვ. ნიკურაძე.

## მუშათა სექციაში.

10 სექტემბერს ამხ. გ. ეროძის თავმჯდომარეობით მოხდა მუშ. და ჯარ.-კ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წევრთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა გამგეობების და პროფ. კავშირთა საბჭოს წევრები.

მუშათა მილიციის მოწყობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. ჯუღელი. მილიციის შესახებ საკითხი,—ამბობს მომხსენებელი,—დღემდის ჩვენთვის არსებობდა, როგორც თეორიული საკითხი. დღეს ეს საკითხი განხორციელებული უნდა იქნეს ცხოვრებაში. საბჭო რევოლიუციის პირველ დღიდანვე ფიქრობდა მუშათა მილიციის მოწყობას, მაგრამ რადგანაც რუსეთის დიდი რევოლიუცია მოხდა თითქმის უსისხლოთ და უსისხლოთვე გრძელდებოდა დღემდის, არ იყო მილიციის შექმნის აუცილებელი საჭიროებაც. დღეს რევოლიუციას საფრთხე მოელის. გენ. კორნილოვის გამოსვლა იმის მაჩვენებელია, რომ კონტრ-რევოლიუციონური ძალები ირაზმებიან. უნდა შეიქმნას ერთგული დარაჯი რევოლიუციისა. ეს მაშინ იქნება, როდესაც თვით რევოლიუციონური მასსა, თვით მუშები იქნებიან შეიარაღებულნი, რომელნიც ყოველ წუთში მზათ იქნებიან თავიანთი სიცოცხლის ფასით დაიცვან რევოლიუცია. მე ვფიქრობ, რომ დღეს მილიციის მოწყობის წინააღმდეგი არც ერთი რევოლიუციონერი არ იქნება. ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით ან საყოველთაო იარაღის აყრის, ან საყოველთაო შეიარაღების. პირველზე დღევანდელ პირობებში ლაპარაკი შეუძლებელია. მაშასადამე, რჩება მეორე დებულება. პეტროგრადში და მოსკოვში უკვე არსებობს წითელი გვარდია, რომელმაც ძალიან დიდი სამსახური გაუწია რევოლიუციის საქმეს... რევოლიუციის გაღრმავებასთან ერთად ყოველთვის მოსალოდნელია, რომ ჯარის ნაწილი რევოლიუციონურ მსვლელობას ჩამოშორდეს და მისი მტერი შეიქნეს. ასეთ პირობებში რევოლიუციის ერთად ერთ დამაჯათ რევოლიუციონურ მუშათა შეიარაღება, მუშათა მილიცია გამოდგებოდება, შემდეგ მომხსენებელი უკითხავს კრებას წესდებას, რომლის თანახმათაც უნდა მოეწყოს მილიცია. წესდება შემუშავებულია საბჭოსთან არსებულ საზოგადო მშვიდობიანობის მეთვალყურე კომისიის მიერ და მიღებული მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტისაგან. წინააღმდეგი არავინ ყოფილა. კრებამ მოიწონა მომხსენებლის მიერ წამოყენებული წესდება, რომლის უმთავრესი მუხლები შემდეგში მდგომარეობს: მილიცია დგება იმ მუშებიდან, რომელნიც დგანან კლასიურ ბრძოლის და ინტერნაციონალურ თვალთახედვის ნიადაგზე; წევრები მიიღება პროფესიონალურ კავშირთა, სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციათა და სოციალისტურ პარტიათა რეკომენდაციით (სოციალისტურ პარტიებათ ითვლებიან სოციალ-დემოკრატები განურჩევლათ ფრაქციისა და სოც.-რევოლიუციონერები). მილიცია ემორჩილება მ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. იარაღები უნდა აკრიბოს საზოგადო მშვიდობიანობის მეთვალყურე კომისიამ კავკასიის რევოლიუციონურ ცენტრის დახმარებით.

მომრიგებელი კამერების შესახებ თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ როდესაც პირველად მოეწყო თფილისში მომრიგებელი კამერა, მაშინ კიდევ არ ყოფილა მოწყობილი პროფესიონალური კავშირები, რომლის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს კამერების მოწყობა. ამიტომ მაშინ საბჭომ გაგზავნა იქ თავისი წარმომადგენლები. დღეს როდესაც პროფესიონალური კავშირები უკვე არსებობენ, აღმასრულებელმა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა მისცეს ამ კავშირებს უფლება, გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები. მომხსენებელი კახიანი აცნობს კრებას ცენტრალურ მომრიგებელ კამერის მოქმედებას. თავისი არსებობის დროს მას 60-ჯერ მოუწყვია კრება, გაურჩევია 73 საქმე. კამერაში შედიან 10 წარმომადგენელი მუშათა დეპუტატების საბჭოდან და 10 მეწარმოვეთა მხრივ. როგორც მოხსენებიდან ირკვევა, საქმე პირველ ხანებში, კარგად მიდიოდა. ორივე მხარე პირნათლად ასრულებდა კამერის დადგენილებებს, მაგრამ შემდეგ შესაფერ ანგარიშს არ უწევდენ მას. ამხ. მიკირტუმოვი უმეტეს მოხსენებას, რომ კამერას არ ჰქონებია განსაზღვრული ინსტრუქცია, რაც უსათუოდ ხელს უშლიდა კამერის მოქმედებას. ორატორები აღნიშნავენ იმ ნაკლულოვანებებს, რაც კამერის მოქმედებას ახასიათებს. პირველ ხანებში მოქმედება რომ კარგათ მიდიოდა ამხ. ტრეიმანი იმით ხსნის, რომ მაშინ ბურჟუაზია ჩაბმული იყო რევოლიუციურ მოქმედებაში; დღეს იგი წინ გადაუდგა რევოლიუციას. ილია ნაკაშიძე ახასიათებს, თუ როგორ ნაყოფიერათ მუშაობს ორთაჭალისა და ავლაბრის რაიონული მომრიგებელი კამერა. ამ მოსაზრებით იგი მოითხოვს მოხდეს ცენტრალურ მომრიგებელ კამერის დეცენტრალიზაცია, რომ უფრო დაცული იქნეს დემოკრატიული პრინციპი. მიღებულ იქნა პრეზიდიუმის შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: რადგანაც ცენ. მომრ. კამერა მაშინ შედგა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი პროფესიონალური კავშირები,—საბჭოს წარმომადგენლებიც დროებით შედიოდნენ პირველში. პროფესიონალურ კავშირების მოწყობისათანავე უნდა მისცემოდა მათ უფლება, გაეგზავნათ მომრიგ. კამერაში თავიანთი წარმომადგენლები.

ამხ. ტრეიმანი თავის მოკლე მოხსენებაში აღნიშნავს რომ თფ. გუბერნიის ღღევანდელი საფაბრიკო ინსპექტორები არ დგანან თავიანთ მოწოდების სიმაღლეზე. ისინი არაფერს არ აკეთებენ. ამიტომ აღმასრ. კომიტეტს გადაუწყვეტია მიმართოს კავკ. ცენტრს გადააყენოს ძველი ინსპექტორები და დანიშნოს ახლები. თავის მხრივ სექციამ მთავარ ინსპექტორის თანამდებობაზე კანდიდატად ყრით აირჩია ამხ. დემანი, უმცროს ინსპექტორათ ამხ. კახიანი.

ამიერ კავკასიის შრომის კომისარათ პეტროგრადში კრებამ დაამტკიცა ამხ. ი. ფარცხალაიშვილი, რომელიც ამჟამად პეტროგრადში იმყოფება.

სექციის შემდეგ კრება მოხდება 17 სექტემბერს.

მ. ჩაჩუა.

## სოც.-დემ. პარტიაში.

**თფილისი.** 2 სექტემბერს, მესამე სამოგრიგოლო განყოფილებაში შესდგა მორიგი სხდომა მე 9 უბნის ს.-დ. ორგანიზაციის კოლექტივისა, რომელზედაც ამხ. ს. ქიტიაშვილმა გააკეთა შემდეგი მოხსენება: ამ ორი დღის წინედ ნაძალადევში მოხდა პარტიული ორგანიზაციების შეერთებული კრება, რომელზედაც გამორკვეულ იქნა პარტიული პრესის ფინანსიური მხრის უნუგეშო მდგომარეობა, რაც გამოწვეულია გაზეთის ხელის მომწერთა სიმცირით, მისი დარიგების მოწყობილობით და საზოგადოთ, პარტიის წევრთა თავის პრესისადმი გულგრილობით. გაზეთების შეწყვეტის თავიდან ასაცდენად შეერთებულმა კრებამ დაადგინა: დაევალოს თითეულ წევრს პარტიულ კოლექტივების და კომიტეტებისას, უშოვოს გაზეთებს ათამდის ხელის მომწერი და თავ სი ხელით მიუტანოს მათ გაზეთი ბინაზე. მოისმინა-რა კოლექტივმა შეერთებული კრების ასეთი დადგენილება, ერთხმად დაადგინა: 1) აასრულოს ამ კრების დავალება, 2) დაეხმაროს გაზეთებს ლიტერატურული შრომის მიწოდებით, თუ ვინმეს კოლექტივის ან მცირე რაიონის წევრთაგანს შესწევს ამისთვის ძალა, მიენდოს კოლექტივის მდივანს, მიაწოდოს რედაქციას სხდომების ანგარიშები გაზეთში დასაბეჭდად, მოეწყოს ავჭალის მოედანზე კოლექტივის მუდმივი ბიურო კიოსკით, სადაც რედაქციიდან მოტანილ იქნეს გაზეთები საღამოს, და სადამოსვე დაურიგდეს ხელის მომწერლებს. ამას გარდა კოლექტივმა დაადგინა: ეთხოვოს 2 რაიონის კოლექტივს, მოაწყოს ახლო მომავალში რაიონის პარტიული წევრების საერთო კრება, რომელსაც უნდა მოხსენდეს კოლექტივის მოქმედების ანგარიში, გაკეთდეს მოხსენება ან ლექცია მოეწყოს პოლიტიკურ მომენტზე, მოხსენება პარტიული პრესის და წითელი გვარდიის მოწყობის შესახებ. მიუხედავად ამისა თვით მცირე რაიონში მოწვეულ იქნას 11 სექტემბერს, საღ. 6 საათზე წევრთა საერთო კრება, რომელზედაც განხილულ იქნას: მცირე რაიონის კოლექტივის მოქმედების მოხსენება, განხილულ იქნას შემდეგი საკითხები: სასურსათო კრიზისი, წითელი გვარდიის მოწყობა, სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა და მორიგი საკითხები.

ი. შ.

—

**ხად. ახალშა.** 3 სექტემბერს შესდგა ახალქალაქის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. დღიურ წესრიგში იყო მეტად საჭირო კითხვები, მაგრამ რადგანაც კრებას მცირე ნაწილი დაესწრო, ამიტომ ზოგი მათგანი გადაიდო შემდეგ კრებისათვის, მომენტზე ილაპარაკა ამხ. ტორიკაშვილმა. კრებას მოხსენდა მკითხველთა წრის ანგარიში, პარტიული ლიტერატურის შესახებ და პარტიული კასის ანგარიში. ამხანაგ მუშებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ ზოგიერთები სამინელ-გულგრილობას იჩენენ საზოგადო საქმისადმი. სჭირდება ფართო მოქმედება იწვევიან და ეს ხდება იქ, სადაც მეტი ენერგიაა საჭირო, რომ ჩვენი მშიერი შეკავშირებით ადგილობრივი მცხოვრებიც ჩავითრიოთ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აქხალფელი.

—

**ხოფ. მეორე მუხური.** (წალენჯიხის რაიონი), 11 აგვისტოს აქ შესდგა ამხ. ს. თოლორდავას დასწრებით ს. დ. პ. ორგანიზაციის წევრთა დამფუძნებელი კრება, კრებამ აირჩია ბიუროში გამგეობის თავმჯდომარეთ ვლ. გ. გახარია, მის ამხანაგებათ მ. გახარია და გ. ბაძღუა, მდივნათ მ. ჩიქოვანი და ხაზინადრად დ. გახარია. სარევიზიო კომისიაში ი. გახარია, ბ. ბაძღუა და კობერია, საორგანიზაციო კომისიაში: ბ. გახარია, ი. ზენდელიანი და ვ. ჩიქოვანი.

მუხურელი.

## ჯარის-კაცთა წერილები.

(კავკასიის ფრონტი).

ქ. ერძინჯანში 1 სექტემბერს შესდგა № კორპუსის ჯარის კომიტეტების შეერთებული კრება. მოხსენება გააკეთა ერძინჯანის აღმასრ. კომიტეტის წარმომადგენელმა. გაიმართა კამათი გენ. კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების შესახებ. კრებამ ერთხმად გამოიტანა განაჩენი: გენ. კორნილოვი და მისი მიმდევრები იქნან დაჭერილი და გადაეცეს სამხედრო სასამართლოს, როგორც რევოლიუციის მტრები და სამშობლოს მოღალატენი. კრებამ ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობას და აგრეთვე მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. კრებამ ერთხმად მოითხოვა, რათა დახურულ იქნას სტოლიპინის სამი ივნისის სახელმწიფო დუმა, როგორც რეაქციისა და კონტრ-რევოლიუციის დაუშრეტელი წყარო. და ადევნონ თვალ-ყური ყველა იმათ, ვინც კი მოქმედობს საქმით თუ სიტყვით კონტრ რევოლიუციის სასარგებლოთ და იმ წამშივე იქნას დატყვევებული. საქმე კი გადაეცეს სამხედრო სასამართლოს. გაეგზავნა დეპეშები მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და აგრეთვე სოციალისტ მინისტრს ვ. ჩერნოვს. ჯარში კარგი სულიერი განწყობილებაა. ჯარი მზათაა ემსახუროს რევოლიუციას და თავისუფლებას.

ჯარის-კაცი ბარცხანელი.

—

ჩვენ კავკასიის მე-18 თურქესტანის მსროლელი პოლკის ქართველი ჯარის-კაცები მეტად შორს ვიმყოფებით ნაწილი ვართ საქართველო არჩევნებში ჩვენში ყველგან სოციალ დემოკრატების გამარჯვებით. ჩვენ, სანგრებში მყოფთ, სხვებზე არა ნაკლებ გვაინტერესებს შინაური საქმეები და ნუ ჰგონიათ ბნელ ძალებს, რომლებიც წყლის ამღვრევის მეტს არას აკეთებენ, „მოდგაწეობა“ შერჩებათ. დადგება დრო, როცა დავბრუნდებით სამშობლოში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ჩვენთვის ძვირფას თავისუფლებას.

ჯარისკაცების მინდობილობით ვლადიმერ ჯაფარიძე.

—

კავკასიის მეოთხე საცეპო ბათალიონის მეორე როტაში ყველაფერი წეს-რიგზე არ არის. აქ ვმსახურობთ ყველა ეროვნების ხალხი. უმეტესობა, რა თქმა უნდა, რუსები არიან ქართველებს გარდა სომხებიც არიან. ჯარის კაცის ცხოვრება ძველი რეჟიმის დროს ხომ აუტანელი იყო, მაგრამ არც ამ ახალი წყობილების დროს არის სახეირო. უმთავრესი მიზეზი ამის, რა თქმა უნდა, ჩვენი შეუგნებლობაა. არ შეგვიძლია ვისარგებლოთ ხეირიანათ რევოლიუციით მონაპოვარი უფლებებით. ამ მხრივ ჩვენი და სომხების მდგომარეობა რუს სალდათებზე უარესია. საქმეს გვიჭირვებს ენის უცოდინარობა. ბევრ ჩვენგანს ინჩიც არ გაეგება, როგორც იტყვიან. ვერ არის დაყენებული რიგიანათ „ოტპუსკების“ საქმე. ამ უკანასკნელ ხანებში ის სულ აკრძალულია. უფროსის ნებართვით ზოგიერთ ჯარისკაცებს აგზავნიან სხვადასხვა სანოვაგის სასყიდლათ. ამით ზოგიერთი ჯარის კაცები სარგებლობენ —ალბათ, ერთი ან ორი დღით შეუძლია ასეთ ჯარის-კაცს სახლში შეიაროს, მაგრამ ასეთი ბედნიერები ცოტანი არიან.

ჩვენთან მსახურობს ჯარის კაცი მაკ. ბ—ძე კობახიძე. ამას წინეთ, როგორც განაცხადა, მას უშოვნია სადღაც „ვინტოვკის“ პატრონები, რომელიც გადაუცია უმცროს უნტერ ოფიცრისთვის. რამდენიმე პატრონა კი დაუტოვებია თავისთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ გასასყიდლათ წაუღია ქალაქში. იქ ის დაპატიმრა სპარსელმა პოლიციელმა და მოიყვანა ყაზარმაში. კობახიძე გადასცეს ტყვიებით საროტო კომიტეტს გასასამართლებლათ. ამის შემდეგ სამი თვე გადის. ეს კობახიძე როტაში არის მხედველობის ქვეშ და მისი გასამართლება არ იქნა. ამისთანა დამნაშავე მის შემდეგ ბევრი გაასამართლეს. ექიმმა კობახიძე ავათ მყოფათ შეამოწმა და ის უნდა წასულიყო კომისიაში შესამოწმებლათ ენზელში. როდესაც მოემზადა წასასვლელათ როტის უფროსმა ნება არ მისცა. მას გულის ავადმყოფობა აქვს და ასე უყურადღებოთ არის დარჩენილი. არც კომიტეტი აქცევს ყურადღებას არც სხვა.

ჯარისკაცი რ.

## პროვოკაცია.
(წერილი ალექსანდროპოლიდან)

24 აგვისტოს ეს ქალაქი საშინელ სურათს წარმოადგენდა: შეუგნებელი ბრბო დაერია თათრებს დაუწყო ხოცვა ჟლეტა, მაღაზიებს კი რბევა. აქტიური მონაწილენი ჯარისკაცთა ტანისამოსში გახვეული ხალხი იყო. მოუწოდებდენ შეუგნებელ ჯარისკაცებს დაეწყოტათ თათრები, რადგანაც იმ დროს, როდესაც ჯარისკაცები პოზიციაზე წყდებიან მშიერ-მწყურვალენი, თათრები აქ სხედან და იარაღს იძენენო. ამ მოწოდებას კიდევაც გამოეხმაურენ შეუგნებელი ჯარისკაცები და მიყვეს ხელი უდანაშაულო ხალხის ჟლეტას. ბნელი ძალები ამ დროს სარგებლობდენ და დუქნებიდან საქონელი გაჰქონდათ. ვინ იცის, რა სახეს მიიღებდა ეს დარბევა, რომ აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს და მილიციის უფროსს არ მოესწროთ და თავიანთი ენერგიული მოქმედებით ძირშივე არ ჩაეკლათ საზიზღარი დასაწყისი. მაგრამ მსხვერპლი მაინც საკმაოდ აღმოჩნდა: მოკლულია შვიდი, დაჭრილი 23, სულ თათრები. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაწყნარებისთანავე დანიშნა გამომძიებელი კომისია საქმის გამოსარკვევათ. კომისია შეუდგა მუშაობას, მაგრამ მიუხედავათ ენერგიული მუშაობისა, საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა ვერ მოახერხეს. ამის მიზეზად კომისია იმას ასახელებს, რომ არ აღმოჩნდა ისეთი მაყურებელი, რომელსაც დანამდვილებით ეთქვა, თუ რა იყო მიზეზი ამ საშინელების დაწყებისა. არსებობს ორნაირი აზრი: ვიღაც სალდათს თათრისთვის ერთი მტყვანი ყურძენი წაურთმევია. თათარი დადევნებია, დაუწევია და ყურძნის წართმევა მოუნდომებია. ამ დროს მოსულა მილიციონერი (თათარი), რომელიც ცდილა საქმის მორიგებას. ამ დროსვე გაჩენილა სალდათთა ბრბო, რომლებიც მოუკლავთ მილიციონერი და ამის შემდეგ დაწყებულა ბნელი ძალების დარბევა, სიკვდილი და სხვა.

მეორე აზრი ასეთია: ვითომ თათარის გაჩხრეკა მოუნდომებია ვიღაც ჯარისკაცს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით იმ მოსაზრებით, თითქოს თათარს ყურძნის ყუთში თოფი და ტყვიები ექნებაო. თათარს წინააღმდეგობა გაუწევია და ჯარისკაცი ყუთთან არ მიუშვია. ჯარისკაცი ძალით მისულა და კიდევაც წაჩხუბებიან. ჯარისკაცს დაუწყია ყვირილი საშველად. გაჩენილა დამხმარე ბრბო ჯარისკაცებისა, მოუკლავთ თათარი და დაუწყიათ დახმარება.

ასეთია ხმები. ნამდვილათ არავინ იცის რამ გამოიწვია ეს სამწუხარო ამბავი: შემთხვევით მოხდა ის თუ ვინმეს შეგნებულათ მოაწყო. ამ სამწუხარო მოვლენამ, როგორც მოსალოდნელი იყო ყველა ადგილობრივი რევოლუციონური ორგანიზაციები ფეხზე დააყენა. ახლად არჩეული ქალაქის საბჭო სასწრაფოთ შეიკრიბა მეორე დღეს. კრება დახურულ კარებში მოხდა. მოხსენება გააკეთა მილიციის უფროსმა. სალამოს შესდგა შეერთებული თათბირი აღმასრულებელ კომიტეტისა და საბჭოსი. კრება გახსნა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ასრიბეკოვმა. მან შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა მომხდარი ურედურების კონტრ-რევოლუციონური ამოძახილი, მოუწოდა კრებას შემოკრებოდნენ რევოლუციონურ ორგანიზაციების გარშემო, ვინც კი აფასებს თავისუფლებას. სალამი უძღვნა იმ რევოლუციის ერთგულ ჯარისკაცებს, რომელნიც დაძახებისთანავე გამოვიდნენ და საშუალება მისცეს აღმ. კომიტეტს ჩაექრო დარბევა. ილაპარაკეს ყველა პარტიის წარმომადგენლებმა. დასასრულ კრებამ ერთხმათ მიიღო ამხ. ასრიბეკოვის მიერ წარდგენილი შესაფერი რეზოლუცია.

ვლ. ტობანიერელი.

## დავიწყებული კუთხე.
(წერილი მესხეთიდან).

ისეთი ჩამორჩენილი მხარე, როგორიც ახალციხის მაზრის ქვაბლიანის მხარეა ძნელად რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებოდეს. რევოლუციამ ვითომც არ შეხებია ამ მხარეს: ადგილობრივი მართველობა ისევ ძველი რეჟიმის მსახურთა ხელშია, რომელნიც აშკარად რეაქციონურ ელემენტებს წარმოადგენენ.

ქრთამი და გლეხების ცარცვა წინანდელზე უფრო პატივშია. სოფლის კომიტეტები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ორი კაცისაგან შესდგებიან, არავითარი ნდობით არ სარგებლობენ. მათ მოვალეობაში მხოლოდ ზოგიერთი უბრალო საკითხები შედის. ხალხში სრული უმეცრება, სიბნელე, სარწმუნოებრივი ფანატიზმი, აქედან გამოწვეული პოლიტიკური საზოგადოებრივი ძილი, გაუგებრობა იმისა, თუ რა არის რევოლუცია და რა ცვლილებანი მოსდევს მას, რა არის თავისუფლება, სწორუფლებიანი ხალხი და სხ. აი რას წარმოადგენს ქვაბლიანის მხარე. აი ის დამპალი ჭაობი, სადაც იღრჩობა 75 სოფლის გლეხობა! ამა თუ იმ სოფელში ერთი ორი „შეგნებული" პირი მოიპოვება, ესენიც შორს დგანან საზოგადოებრივ ცხოვრებიდან და პირადი ჯიბის ინტერესებით გაჟღენთილები, ნაციონალურ პარტიის დროშის ქვეშ „მოღვაწეობენ". ძველი წყობილების მოხელეები ხომ ყოველი ფეხის გადადგმაზე შეხვდებით. ს. უდეში აშკარათ აცხადებენ ძველი, მონარქიული წყობილების მომხრეობას, პარტიების არსებობის ხალხმა არაფერი არ იცის.

ქვაბლიანის 75 სოფელში ორი სოფლის მცხოვრებლები—უდე და არალი ქართველი კათოლიკენი არიან, ხოლო დანარჩენი—ქართველი მაჰმადიანები, ამ უკანასკნელებში მხოლოდ მცირე ნაწილს მოაქვს თავი ქართველად. უმრავლესობა ისე გაჟღენთილია სარწმუნოებრივი ფანატიზმით, რომ ქართველის (გიურჯის) სახელწოდება მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნია. მათ ვერ გაურჩევიათ რჯული ტომისაგან და ყოველი მაჰმადის მორწმუნე „თიურქად" მიაჩნიათ. სასოფლო-სამეურნეო აღმზრდელი მაჰმადიანები უქადაგებენ ქართველ მაჰმადიანებს, რომ თქვენ „თიურქები" ხართ და ქართველობისა არაფერი გაცხიათ, მიუხედავათ იმისა, რომ ქართულ გვარებს ატარებთო. ამისათვის თქვენ ყველანი „თიურქებათ" უნდა ჩაეწეროთო. ეს „ნასწავლი" აღმზრდელები ისე დაუბრმავებია ფანატიზმს, რომ ვერ მიმხვდარან, რომ რჯული სინდისის საქმეა, რომ რჯულს, არავის შეუძლია შეეხოს, და რომ ქართველთ რევოლუციონურ დემოკრატიას შეუძლია ამ მხრით უზრუნველ ჰყოს ქართველი მაჰმადიანები

ქვაბლიანის ცენტრათ ჩაითვლება ს. უდე, სადაც ქართველი კათოლიკენი ცხოვრობენ. თუმცა ამ სოფლის მოწინავე პირთ—სოფლის მასწავლებელ და კოოპერატივებში მომუშავეთ სურთ რაიმე კულტურული მუშაობა გააჩაღონ, მაგრამ ვერას გახდებიან, რადგან მათ ქალაქთან არ აქვთ კავშირი.

საჭიროა რევოლუციონურმა დემოკრატიამ აიღოს თავის ხელში ამ ჩამორჩენილ მხარეში მუშაობის საქმე და მუსულმანთა დემოკრატიის დახმარებით ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც მიიღონ მონაწილეობა საერთო შემოქმედებითი მუშაობაში და ისარგებლონ რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებით.

იაკობ ვარძიელი.

## უპატრონო მატარებელი.
(წერილი გზიდან).

ვერც რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების ყრილობათა რეზოლუციებმა, ვერც რკინის გზათა კომიტეტების ცდამ, რომ „დაიხსნათ სამშობლო და რევოლუცია აუცილებელ დაღუპვისაგან, ბოლო მოეღოთ უკანასკნელ ხანებში გახშირებულ ურედურ შემთხვევებისათვის, აღადგინოთ მატარებლების წესიერი მიმოსვლა და სხვ.", სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მუშა მოსამსახურეები ვერ პოულობს გამოძახილს, რის გამოც ურედურ შემთხვევებს არამც თუ ბოლო მოეღო, პირიქით, უფრო გახშირდა.

ეს მოვლენა საშუალებას აძლევს „ხალხის გულშემატკივართ" ილაპარაკონ და სწერონ, თითქოს ჩვენ, რკინის გზის მოსამსახურენი, განზრახ ვაჩერებდეთ მატარებლებს, რათა რევოლუციონურ ჯარს გავუწყვიტოთ სურსათის და საომარი მასალების მიწოდება ფრონტზე.

რომ ამ ურედურ შემთხვევების მიზეზი თითო ოროლა მოსამსახურის დაუდევრობა და თავისუფლების ბოროტად გამოყენებაა და არა მოსამსახურეთა მთელი შემადგენლობა, ეს ყველასათვის ცხადია. საჭიროა ისეთი მოსამსახურეთა გვარების გაზეთში გამოქვეყნება, რომელნიც არ ასრულებენ პირნათლათ თავიანთ მოვალეობას და ასე, ხელს უწყობენ ურედურ შემთხვევების გახშირებას, მიმოსვლის საქმის არევ დარევას, ისედაც ცარიელი სახელმწიფო კასის უფრო დაცარიელებას.

18 აგვისტოს ხაშურიდან ქუთაისში გავემგზავრე მესამე ნომერი საფოსტო მატარებლით. 163 ნომერ ვაგონში შესვლისთანავე ერთი მგზავრი მეორეს შეეკითხა:

— ნეტავ ამ მატარებელს პატრონი არა ჰყავ? გორიდან დაწყებული ერთხელაც არ გაუვლია კონდუქტორს ვაგონში...

მივუახლოვდით წიფას გვირაბს. ვაგონებში ბნელა. არავინ არ ფიქრობს სანთლების ანთებაზე, კონდუქტორები არ სჩანან. ერთი ჯარისკაცი ცხარობს—რატომ სინათლე არ არისო. მეორე ჯარისკაცი უპასუხებს: ეს მატარებელი თბილისში მისცეს მოსამსახურეებმა „იჯარით" ორ ჩარჩს და თვითონ ალბათ სადმე სძინავთ არხეინათ.

როგორც გამოირკვა, ვაგონს მართლაც ორი საეჭვო პირი „დაპატრონებოდა" და ყველაფრიდან სჩანდა, რომ უბილეთონიც ბლომათ იყვნენ შიგ.

სადგურ ძირულაში საქმის ვითარება გავაცანი კონდუქტორ ქალს, რომელიც დაჰპირდა უფროს კონდუქტორს, ან „რევიზორს" გამოვგზავნიო, მაგრამ სადგურ რიონამდე არც ერთი მათგანი არ მოსულა.

რიონში ყოველივე ეს მორიგ თანაშემწეს ბ. ავალიანს ვუამბე, რომელიც შეუდგა ზომების მიღებას.

ასეთივე ამბავი განმეორდა მეორე დღესაც; 19 აგვისტოს, როდესაც უკან გამოვბრუნდი, მეოთხე ნომერ საფოსტო მატარებელში სად. რიონიდან ვიდრე თბილისამდე არც უფროს კონდუქტორს და არც „რევიზორს" ერთხელაც არ გაუვლიათ.

რას ნიშნავს ეს?

მწვანეყვავილელი.

## პროვინციის ცხოვრება

**ბათუმის ოლქი.** აღმასრულებელ კომიტეტების არჩევა და კომისარების დანიშვნა, თანახმათ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წესდებისა, მთელ ბათუმის ოლქში ამ დღეებში დასრულდა. არჩევნები საერთოდ სასურველათ ჩატარდა, მხოლოთ აქა იქ ბნელი ძალებით გამსჭვალულ უბნებში რეაქციონერებმაც შესძლეს თავი მოეყარათ აღნიშნულ კომიტეტებში, მაგრამ ამათი რიცხვი უმნიშვნელოა და საერთო საქმისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ. აქ სარწმუნოების საკითხს უმთავრეს ყურადღებას აქცევს ხალხი და როდესაც ამა თუ იმ საქმეში კანდიდატს ასახელებენ გვეკითხებიან: მუსულმანი თუ არის და ჩვენ რჯულს თუ ემსახურებაო. ერთად ერთი გზა ამ უხერხულობიდან გამოსასვლელი, მხოლოთ სწავლა-განათლების შეტანაა ხალხში. საჭიროა დაუყოვნებლივ დაარსდეს სკოლები ყველა უბნებში. არჩევნების შედეგი საერთოდ ასეთია:

ქობულეთის მხარე, ეს ნაწილი აჭარისა ყველაზედ უფრო ფხიზელია. აქ აღმასრულებელ კომიტეტებში სოციალისტებიც შედიან ქობულეთის მხარეს კომისრათ სოციალდემოკრატი აირჩიეს ჰაიდარ ბეგი აბაშიძე.

კარგი ნაყოფი გამოუღია ამ მოკლე დროის არსებობით ხუცუბნის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების სკოლას. ამ სკოლის გამგე არსენ წითლიძე და მასწავლებელი ქალი ხომიძე სკოლის გარეთ ხალხში მუშაობას ეწევიან და ნდობაც კარგი აქვთ ხალხში დამსახურებული.

ზემო აჭარა: ეს მხარე ცნობილი ბეგების ხიმშიაშვილების გავლენის ქვეშ იმყოფება და ხალხი დღესაც მათ შიშის ქვეშ არის. ყველა საქმეში ამა თუ იმ ბეგს ასახელებენ. ამათ კარგათ სწამთ, რომ ბეგი მათი ინტერესების დამცველი არ არის, მაგრამ ეშინიათ. ალები და ხოჯები აგონებს ხალხს: „თუ ბეგი საქმეში არ დაგვერია, ჩვენი საქმე ისე არ გაკეთდებაო". ალებს და ხოჯებს გავლენა აქვთ იქ, სადაც სკოლა ან რაიმე კულტურული დაწესებულება არ არსებობს. მაგალითად, ს. ხულოში აღმასრულებელ კომიტეტში რეაქციონერების მიერ დასახელებული ბეგი გააშავეს და სასურველი კაცი აირჩიეს. ეს კი იმის ნაყოფია, რომ აქ არსებობს სკოლა და საავათმყოფო. აქ არსებობს ს. დ. პარტიის წრე, რომელშიაც 30-მდე კაცი შედის. ფერშალი ს. შონია და ექიმი ა. ვადაჭკორია საავათმყოფოს გარეთ ხალხშიაც მუშაობენ და თანამედროვე კითხვებს აცნობენ ხალხს. აქ გაიმართა ამ ზაფხულში წარმოდგენებიც მასწავ. მარო დოლიძის ქალის თაოსნობით, რითაც ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა. მასწავლებელმა გაუმარტა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთოდ თეატრს. აქ გაიხსნა საქსოვი სახელოსნო მღ. სოლომონ ანდღულაძის მეთაურობით, რითაც ხალხი მეტად დაინტერესდა და თხოულობენ სხვა სოფლებშიაც გაიხსნას ასეთი საქსოვი.

ქვემო აჭარა: აქ შედარებით ზემო აჭარაზე ხალხი მეტად ფხიზელია. ბეგებს გავლენა არა აქვსთ მათში და კრების ხელმძღვანელ მოლაპარაკეს შეუძლია შედარებით დააჯეროს ხალხი თუ ვინ არის მათი ინტერესების დამცველნი და ვის უნდა მისცენ ხმა არჩევნების დროს. აქ აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია კომისრათ ოფიცერი პოდპორუჩ. თაყაიშვილი, მაგრამ სამწუხაროთ ის არ დათანხმდა, ვინაიდან მას ქუთაისში უკეთესი ადგილი ჰქონია. სამწუხაროა, რომ ასეთ კრიტიკულ დროს ზოგიერთი პირები ადგილობრივ პირობებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

ართვინის მხარე: ამ რაიონში არსებობს ორი ქარხანა სპილენძის მადნეულობისა, ორივეში დაახლოვებით 2000 მდე მუშებია. საერთოდ არჩევნები სასურველად ჩატარდა. კვარცხანის ქარხანაში კომისრათ მოიწვიეს დათიკო ჯუჯუნავა; საერთოდ ეს მხარე დამშვიდებულია და ხალხი თანდათან უბრუნდება მიტოვებულ სახლ კარს.

არდანუჩის მხარეში სომხები და მუსულმანები ცხოვრობენ. ესენი დღემდე მტრული თვალით უცქეროდნენ ერთმანეთს. აქ აღმასრულებელ კომიტეტში ორივე ნაწილიდან შედის წევრები. კომისრათ აირჩიეს ჰაიდარ ბეგი ბინალ ზადე, რომელიც სასურველი პიროვნებაა და ორივე ერის ხალხის ნდობით აღჭურვილია.

შავშეთი: აქ უმეტესობა მაჰმადიანებია, სომხების რიცხვი უმნიშვნელოა. იმერხევში არსებობს ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სკოლა. მოწაფეების რიცხვი 40 მდეა. შავშეთის კომისრათ აირჩიეს ყოფილი პირველი სახელმწიფო დუმის წევრი ზაქერია ბეგი. მიმართულებით კადეტია. ეს დიდათ განსხვავდება მის ძმებ ბეგებისაგან. ხალხში დიდი ნდობა აქვს დამსახურებული და შეუძლია ბევრი რამის გაკეთება.

ბ. ოცხანელი.

**ხუნევის საზოგადოება** (შორაპნის მაზრა). ამ თავისუფლების დროს გამოფხიზლება დაეტყო აქაურ გლეხობას, მაგრამ ჯერ ბევრი რამ აკლია. გვაქვს ორ-კლასიანი სკოლა; სოფელ ხევისჯვარში აქვთ სამრევლო სკოლა. კოოპერატივმა იარსება ერთი წელიწადი, შემდეგ გამგეობის დაუდევრობით წევრებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და გამგეობაზე მოსატანი ვერაში, კოოპერატივზე მოიტანეს, და გაყვეს ის სამ ნაწილათ. ამას წინეთ აქ გაიხსნა საამხანაგო ბანკი. უდიდეს საჭიროებას შეადგენს საექიმო დახმარება, რადგან ბევრი უექიმობით უდროვოთ ეთხოვება წუთისოფელს. კარგი იქნება დაარსდებოდეს საფერშლო პუნქტი. აგრეთვე საჭიროა სამკითხველო. იმედია ამას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივი კომიტეტი.

თ. მ.

**ს. ჩიბათი** (გურია). აქ დამკვიდრდა უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი, საჭიროა გაშლილი ინსპექტორი და მასწავლებელი. 28 აგვისტოს ადგილობრივმა ძალებმა აქ გამართეს წარმოდგენა „მეზობლები". წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. სასურველია, რომ ადგილობრივი კომიტეტი ნაკლებ დროს ანდომებდეს „ლობე-ყურეს" და კერძო საჩივრებს, რისთვისაც არის სოფლის სასამართლოები და უმთავრესად, მედიატორული სასამართლო. საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩიბათის და ლანჩხუთის შუა გზის შეკეთებას. ავათმყოფობა აქვთ მეტად გავრცელებული ვერ ნახავთ ოჯახს—ერთი ან ორი ავათმყოფი არ იყოს. ფერშლის მოყვანა 30—35 მანეთი ჯდება. აფთიაქებში წამალი ძნელი საშოვნელია. საჭიროა კოოპერატიულ აფთიაქის გახსნა. წელს მოსავალს ცუდი პირი უჩანს, თავიდანვე ცუდი ამინდები იყო, მაგრამ ამ ბოლო დროის წვიმებმა მოსავალი მთლად წაახდინა.

ჩ—ნი.

**ქართლი.** თანახმად დროებითი მთავრობის მიერ შემუშავებულ ინსტრუქციისა, 3 სექტემბერს მთელ ხაშურ სურამის რაიონში მოხდა სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების რეორგანიზაცია და ახალი კომიტეტების არჩევნები. არჩევნებს ხელმძღვანელობდა ხაშურის რაიონის რუს. სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციასთან არსებული პროპაგანდისტთა კოლლეგია. ახალ არჩევნებს ხალხი სიხარულით შეეგება. არჩევნების დროს ორატორები უხსნიდენ ხალხს შემდეგ კითხვებს: თანამედროვე მომენტი, კორნილოვის გამოსვლა, რევოლუცია, და კონტრ-რევოლუცია, ომი და ზავის საკითხი, სასურსათო საკითხი და შემდეგ ხდებოდა არჩევნები. არჩევნები დაახლოვებით ფარული კენჭის ყრით მოხდა. აირჩიეს სასურველი პირები. მიტინგებზე მონაწილეობას ღებულობდენ სოც.-ფედერალისტებიც, რომლებიც ჩვენთან შეთანხმებით მოქმედებდენ.

ნიკო გურული.

## თეატრი და ხელოვნება.

### „ქრისტინე", ნინოშვილისა.

ბ-ნი გერ. გოგიტიძე შეუდგა „ქრისტინეს" ლენტზე გადაღებას კინო მატოგრაფისათვის. პირველი ორი მოქმედება უკვე გადაიღეს გურიაში, ლანჩხუთში, მომხიბვლელ აჭის წყლის ხეობაში. პირველი მოქმედების შინაარსი ასეთია:

კვირა დღეა, ხალხი წირვაზე იკრიბება, ეკლესიის გალავანში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მუსაიფობს, აქვეა დათია თავის ქრისტინეთი—ასონი ქრისტინეს გაეცნობა.

პაემანი... ქრისტინეს ფეხმძიმობა, დათიას საყვედური და რისხვა, ქრისტინე მდინარეში თავს იხრჩობს, მეზობლები გადაარჩენენ. ქრისტინე თბილისში მიდის.

დანარჩენი ნაწილი გადაღებული იქნება თბილისში. ბოლოს ჩართული იქნება პიესის აპოთეოზად ნინოშვილი თავის მეგობარ-ამხანაგებში.

პიესის გადაღებას ხელმძღვანელობს ხელოვანი ალ. წუწუნავა.

პირველი ორი მოქმედება საუცხოვოთ გამოვიდა. საჭირო ადგილების წარწერა იქნება ქართულად და ფრანგულად.

ა—ნ.

### ქართული ოპერა.

10 სექტემბერს, ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართა ქართული საოპერო მომღერალთა წინასწარი კრება. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით. ერთხმად გადაწყდა: აუცილებლივ შესდგეს ქართული საოპერო დასი. დაადგინეს მოიწვიონ 14 სექტემბერს ქართულ კლუბის საზაფხულო დარბაზში დილის 12 საათზე ყველა აქ და სხვაგან მყოფი ქართველი მომღერალი, კომპოზიტორი, რეჟისორი და სამუსიკო მოღვაწეთა კრება, სადაც განხილული იქნება მთავარი საკითხი: ქართულ საოპერო მომღერალთა კავშირის დაარსება, ისი წესდების შემუშავება, საოპერო რეპერტუარის და დასის მოწყობა და სხვა. კერძო ბარათი არავის არ გაეგზავნება.

№.


ექიმები:

**დ. ვ. ჟორდანია & ს. ს. ერქვანი**

იღებენ ავათმყოფებს, შინაგან, ბავშვების, ავათმყოფობას [illegible] სიფილისი [illegible] 914 [illegible] შინაგანი ვენისა [illegible] და ელექტრონით წამლობა.

მიიღება ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5–8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 52 ბინა 1. (10—8)

მედიცინის დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლინოიდი არსონვალის დენით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის, ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

**ექიმი გ. შ. მუხაძე**

იღებს სდოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 6—77.

**ექიმი პ. ი. ფვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. მუხრანის ქუჩა, № 4, [illegible] ტელ. 15—00.

**ექიმი ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და შარდის (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი

**ექიმ გ. ი. გოკიელი**

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ექიმი

**დ. ი. ჟორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურად ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა უქმებისა. გორის ქუჩა № 6 ([illegible])

ექიმის თანაშემწე

**მლ. ი. თავართქილაძე**

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა № 4

**ექიმი გ. გ. ფეფხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეებ [illegible] 5 ნახ. საათამდე, [illegible] პირდაპირ, რაზეტნის ქუჩა, № 19.

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, სად. 5—7 საათამდე, გუნიას ქ. № 41.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

# „ერთობა"-ზე.

გაზეთის ღირს როგორც თბილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ფასი 12 კაპ. [illegible] 1 მარტიდან.

[illegible]

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, редакція „Эртоба".

[illegible] № 6.

[illegible]

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

# „სოციალ-დემოკრატ"-ზე

გაზეთის ღირს: მთელ წლით—15 მან., ნახევარ წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კაპ., ცალკე ნომერი ფასი 7 კაპ. [illegible]

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ", Тутку Гварамія. [illegible]

„ზორაპანის" გამოცემა

[illegible]

ქართველი მწერალი [illegible]

ქართველი მწერალი [illegible]

[illegible] „ჩანგი" [illegible] (10—8)